

115

საქართველოს
კომუნისტური
პარტია

საქართველო



ს.ბ.

1927 სახელმწიფო პარტიკულარები.

№ 9

შინაარსი.


| | გვ. |
|---|-----|
| 1. ჩვენი დღე—ლექსი—გ. ქუჩიშვილის | 1 |
| 2. შრომისა და ბრძოლის დღე—შანის | 2 |
| 3. საკვირველებათა მხარეში—ვ. ვასაძის | 3 |
| 4. ჩვენი ბელადები: ამხ. მ. კალინინი | 7 |
| 5. ვასიკოს გარდატეხა—ე. პოლუმორდვინოვის | 8 |
| 6. ბალუკა— მ. ენსტვილი | 11 |
| 7. უკრო მეტად დავუკავშივდეთ ჩვენს ძმებს — ვ—ძე | 13 |
| 8. ხუთი წელი— პ. ძნელაძის | 14 |
| 9. ჩვენი ძმები მსოფლიოში | 16 |
| 10. პრესის დღესასწაული—ნ. ორაგველიძის | 19 |
| 11. რადიო მშრომელთა გაერთიანების საშვალეება—ს. პ. | 20 |
| 12. მეცნიერება და ტექნიკა | 22 |
| 13. სხვადასხვა ცნობები | 23 |
| 14. თამაშობანი | 24 |
| 15. შარაღა და რებუსი ყდაზე. | |

პიონერი

1927
 15 მაისი

განათლების სასჯელთა კომისიისათვის სტალინური აღზრდის მთავარმართ-
 თველთმის და საფართოვლის მ. კ. თ. ცენტრალური მითრის (საქ. ა. ლ.
 კომპარტიის ცვასთან) აქრნალი ბავშვისათვის

წელიწადი II
 № 9



ჩვენი ღღე.

მოვალთ, მოგვაქვს
 ჩვენი ღროშა,
 ბრძოლის ღროშა
 ალისფერი,
 ზიზღს ვუცხადებთ
 წარსულ ღროსა,
 მომავლისკენ
 მივიმღერით!

—:—

ღირსეული შვილები ვართ
 იმ ღირსეულ
 შრომის ჯართა,
 ვინც დაამხო
 მტარვალობა,
 ვინც რომ წელში
 გაიმართა!

—:—

გზა მიეცით
 ჩვენს ღიდ ლაშქარს,
 გზა მიეცით
 პიონერებს!
 უბორკილო ქვეყნის შვილებს
 ვეღარავინ
 შეაჩერებს!

—:—



შრომის შვილთა
 ზრდას და რაზმვას
 მტერთა ხროვა
 ვერ ინელებს,—
 შეტევაზე თუ წაშოვა,
 ვერ გაუძლებს ლენინელებს!

გაუმარჯოს ჩვენს
 ნორჩ ძალებს,
 გაუმარჯოს
 პიონერებს,
 გაუმარჯოს აჯანყებულ
 დამონებულ
 ყველა ერებს!



შრომისა და ბრძოლის დღე.



უკვე მეშვიდე წელია, რაც მთელ ქვეყნიერებაზე ერთსადაიმთხვე დღეს გამოდიან ქუჩებში პროლეტარული ბავშვები წითელი დროშებით და ყელსახვევებით. ბევრი მათგანი — ასობით, ათასობით გამოდის თავისუფლად, საჯაროდ დღესასწაულობს თავის დღეს, ხოლო ბევრი კი გამოდის საიდუმლოდ, ფარულად — ათობით, პატარა ჯგუფებად.

იქ, სადაც ხელისუფლების სათავეში ჯერ კიდევ მდიდრებია, სადაც მუშათა ბავშვებისათვის პურიც კი არ არის, — ყველგან გაისმის გატაცებული მოწოდება:

„ძირს ბავშთა სილატაკე! ძირს ბავშვების ცემა-ტყეპა სკოლებში! ძირს მდიდრების და ექსპლოატატორების ბატონობა!“ და სხვა.

და ეს ხმები, ეს სიტყვები მოწოდებისა ყოველ წელიწადს

თანდათან უფრო და უფრო ძლიერდება, უფრო და უფრო გაბედულად მოისმის.

მდიდრებს არ უნდათ და არც შეუძლიათ დაეხმარონ ღარიბების, მუშების შვილებს. იმ ქვეყნებში, სადაც ახლაც მბრძანებლობენ მდიდრები, მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მუშათა ბავშვებს იყონ თავისუფლები და გამაძლარნი, როდესაც მოსპობენ იქ მდიდრების ბატონობას და დაამყარებენ თავისუფლებას, მშრომელთა ხელისუფლებას. მაგრამ ამისი გაკეთება ადვილი საქმე არ არის. ამისათვის საჭიროა დახმარება მუშებისათვის, დახმარება პარტიისათვის და კომკავშირისათვის.

საჭიროა, რომ ბავშვებიც აშენებდნენ თავის ორგანიზაციებს, სწავლობდნენ ერთად, რომ მდიდრების ბატონობის დროს არ შეიძლება იყოს ბედნიერება პროლეტარული ბავშვებისთვის.

აი რატომ გადაიცემა ბავშთა საერთაშორისო კვირეულის განმავლობაში ყველა ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში ასეთი მოწოდება:

„მუშათა ბავშვებო, ბავშვებო, რომლებიც ცხოვრობთ სარდაფებში და ქერებში, ჩაეწერეთ ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციაში და დაეხმარეთ მუშებს ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში!“

არც პოლიციელითა რეზინის ჯოხებს, არც ჯა-

რისკაცთა ხიშტებს არ შეუძლია შეაშინოს და ხელი შეუშალოს კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარული ბავშვების გაერთიანებას. როგორც თანდათან ემატება სისწრაფე მთის მწვერვალთან დაგორებულ ქვას, ისე სწრაფად იზრდება მისწრაფება ნათელი და თავისუფალი ცხოვრებისადმი ბავშთა პროლეტარულ გულებში.

ამასთანავე, დადი იმედებით, მხურვალე რწმენით უყურებენ მთელი ქვეყნის პროლეტარული ბავშვები საბჭოთა კავშირის პიონერებს. მხოლოდ ს. ს. რ. კავშირში ცხოვრობენ და მუშაობენ ბავშვები თავისუფლად, მხოლოდ აქ მრავლდებიან და იფურჩქნებიან დაუბრკოლებლად პიონერთა ორგანიზაციები, ახალი სკოლები, საბავშვო ბაღები, მოედნები და სხ.

უკვე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ს. ს. რ. კ. აღარ არის მდიდრების ბატონობა. ამიტომ მრავალ პიონერს არ უნახავს თავისი თვლით ცოცხალი ფაბრიკანტი, ცოცხალი პოლიციელი, ცოცხალი მემამულე. მაგრამ დღეს კიდევ დარჩა მათი მემკვიდრეობა — სიბნელე, გაუნათლებლობა, უცოდინარობა. ს. ს. რ. კ. რომ ყველა იყოს ნასწავლი, მაშინ ხომ სრულიად ადვილად და უკეთესად შეიძლებოდა ცხოვრების მოწყობა.

აი ამიტომ გაისმის ბავშთა საერთაშორისო კვირეულის დროს პიონერთა მოწოდება:

„ყოველგვარად დავეხმაროთ ჩვენს ძმებს და უფროს ძმებს, რომ ჩვენი ქვეყანა გადაქციონ განათლებულ, ნათელ და ბედნიერ ქვეყანად.

მოვიხმაროთ ცხოვრებაში ის ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც გვაძლევს ჩვენი საბჭოთა სკოლა.


ყველაფერი ამის გაკეთება ძლიერ სასწრაფოდ არის საჭირო. ს. ს. რ. კავშირში არ შეიძლება დროს უქმედ დაკარგვა. ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ არის გარედან მტრებით შემორტყეული. ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს ძლიერი, მტკიცე, რომ მოვიგერიოთ მთელი ქვეყნის კაპიტალისტების თავდასხმა.

ბავშთა საერთაშორისო კვირეულის განმავლობაში აგრეთვე უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა დავეხმაროთ ჩვენს ძმებს — საზღვარგარეულ პიონერებს. მათი ცხოვრება, მუშაობა და ბრძოლა მეტად მძიმეა, რადგანაც იქ ჯერ კიდევ ბატონობენ მდიდრები და მემამულეები.

ბავშთა საერთაშორისო კვირეულის დროს აგრეთვე უნდა განმტკიცდეს პროლეტარიატის სამი თაობის პარტიის, კომკავშირის და პიონერების — მტკიცე კავშირი.

დღე, გაძლიერდეს და განმტკიცდეს უდიდესი საქმე — მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლება ექსპლოატატორთა ბრძკალებისაგან.

ყოფნისათვის, შრომისათვის და ბრძოლისათვის, პიონერებო, „იყავით მზად!“.



სასწრაფო ღმერთს მხარეში

მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ იმგზავრა მიშა გი-
გაურმა ინდოეთში.

ნავსადგურში ჩვეულებრივი განუწყვეტელი მოძრაობა და ხმაურობა სუფევდა.

საბაჟოს საათმა სამჯერ დარეკა, როდესაც მიშა გიგაური სწრაფად იძრობდა ხალათს და შარვალს და ნაბავდა თვალებს, გრძნობდა რა წინასწარ იმ სიამოვნებას, რომელსაც ის მიიღებდა ცივ და გამაგრილებელ ზღვაში.

მიშას ბანაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ის აფოფხდა ნაპირზე, მაგრამ სრულიად არ ჩქარობდა ტანთ ჩაცმას. უცებ გაქანდა ზღვის ტალღების მოქცევის მიერ გაკეთებული მაღლობისაკენ, შედგა ზედ და დაუწყო თვალღებვა ნაცნობ ნავსადგურს, საიდანაც მას ხმაურობა, ყვირილი და მოძრაობა ესმოდა.

მოშორებით, ნავსაყუდელში, მშვიდად ქშინავდა უზარმაზარი სავაჭრო გემი „ვარსკვლავი“.

— ეს გემი სწორედ დღეს მიდის ინდოეთში, — გაახსენდა მიშას, — აი რა საინტერესო იქნებოდა იქით გასეირნება, ოხ!!

სამხრეთის მხე უხვად ისროდა თავის მწველ სხივებს. „ვარსკვლავი“ ამაყად გამოიყურებოდა. გემის აივანზე მეზღვაურები მოსჩანდნენ.

— რა იქნება, რომ ვთხოვო კაპიტანს და მეც წამიყვანოს. ოხ, რა კარგი საქმე იქნება, — გაუელვა მიშას თავში. რა იქნება, რომ ვსინჯო?..

რამოდენიმე წუთის შემდეგ მიშამ გაიცინა და სთქვა: „რა სისულელეებს ვლაპარაკობ, ეს რა აზრი მომივიდა თავში!.. ალბათ, სიცხის ბრალია“. მაგრამ გონებაში შეჭრილი აზრი მოსვენებას არ აძლევდა მიშას.

— რა დიდი საქმე იქნება, რომ ვთხოვო წაყვანა კაპიტანს, ვსინჯო? ხომ არ მომკლავს ამის თქმისათვის?

და, როგორც იქნა, მიშამ გადასწყვიტა...

— გინდა ინდოეთში წამოსვლა? — გაუღიმა კაპიტანმა. — მაგრამ აქ შენიანებს როგორ დასტოვებ, ვაი თუ მოგწყინდეს?

მიშა დაიბნა, ხმა ჩაუწყდა, არ იცოდა, რა ებასუნხა. შემდეგ, როგორც იქნა, იპოვა გამოსავალი და გახარებულმა წამოიძახა:

— უკან ხომ დავბრუნდებით შემდეგ?

— რასაკვირელია, დავბრუნდებით, — უბასუხა კაპიტანმა.

— აი, მაშინ მეც... მეც დავბრუნდები.

— მაშ კარგი, წამოდი, ადი გემზე.

ვაშაა!!

მძიმედ დატვირთული „ვარსკვლავი“ ერთი საათის შემდეგ გავიდა ზღვაში. მას თან ბედნიერი მიშაც მიჰყავდა.

* *

ათი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მიშა თავისი ქვეყნიდან წამოვიდა ამინდი ძლიერ კარგი იყო.

„ვარსკვლავი“ განაგრძობდა თავის გზას, ზოგჯერ უცნობი ქვეყნების ნავსადგურებში შედიოდა საჭირო მასალების მისაღებად.

იქ მიშა ხედავდა დაბლვერილ ადამიანებს, საკვირველ ტანსაცმელებში, ხედავდა ყვითელ ჩინელებს, ხედავდა შავ ზანგებს, რომლებიც



— გინდა ინდოეთში წამოსვლა? — გაუღიმა კაპიტანმა.

ნაპირებიდან უქნევდენ მას თავს, აჩენდენ რა თავიანთ თეთრ კბილებს და ილიმებოდენ.

ორი დღის შემდეგ „ვარსკვლავმა“ დაასრულა თავისი გზა.

— აი, უკვე მივედით ინდოეთში, — უთხრა კაპიტანმა მიშას, — აქ ჩვენ ერთ კვირას მოვიცდით, ხოლო შემდეგ კი ისევ უკან დავბრუნდებით. თუ გინდა, გადადი ნაპირზე.

— რასაკვირველია, მინდა, — შესძახა მიშამ მეზღვაურსავეთ და სწრაფად გაექანა გემიდან ხმელეთისაკენ.

* * *

უცხო ქალაქის ქუჩებზე სიჩუმე იყო გაუფებელი.

სიცხისაგან შეწუხებულ მცხოვრებლებს სახლებისთვის შეეფარებიათ თავი. იშვიათად თუ გაივლიდა გზაზე სპილო, რომლის ზურგზედაც ნოხებით ლამაზად მორთული დასაჯდომი იყო და ზედ რომელიმე მანდილოსანი იჯდა.

მიდიოდა ქუჩაზე მიშა, ათვლიერებდა ყველაფერს, მაგრამ ვერავის ვერ შეხვდა ისეთს, რომელთანაც შესაძლოა ყოფილიყო საუბარი. ასე გაიარა მან რამოდენიმე ქუჩა და ქალაქ გარეთ გავიდა.

— სად გადაიკარგა ეს ხალხი, — გაკვირვებული კითხულობდა მიშა, — ნუთუ დაიხოცენ?

მან გადასწყვიტა უკან დაბრუნება, მაგრამ ამ დროს გულის შემზარავი ყვირილი გაისმა.

მიშა გაექანა იქით, საიდანაც ყვირილი მოისმოდა.

* * *

მაღალი ლობის მეორე მხარეს მტვერში ეყარენ შეშინებული ბავშვები. შიშით მათ სახე მტვერში ჩაეფლათ და ვერც კი ბედავდენ მაღლა თავის აწევას.

მიშა მიუახლოვდა ლობეს და ნახვრეტებიდან უტკერდა ყველაფერს, რაც იქ ხდებოდა.

ხოლო იქ... იქ კი იდგა მათრახით ხელში განიერბეჭიანი კაცი, რომელიც ილანძვებოდა, აწაკწაკებდა კბილებს და ისე სცემდა მათრახს ბავშვებს. მათრახი მეტის-მეტე სიძლიერით და სიმწვავეთ ხვდებოდა შიშისაგან აკანკლებული საბრალო ბავშვებს.

— მე თქვენ გიჩვენებთ, თუ როგორ უნდა მუშაობა, — გაჰყვიროდა ის, — ზარმაცებო, უსაქმურებო, მუქთახორებო, მაიმუნებო, მე თქვენ გიჩვენებთ...

მათრახის მოქნევასთან ერთად გაისმოდა ბავშვების საშინელი კვნესა და მოთქმა:

— მისტერ... მისტერ ჯონ... შეგვიბრაღე... გვაპატიე... დამნაშავენი არა ვართ... მისტერ... მისტერ ჯონ...

მაგრამ მათრახი მაინც განაგრძობდა მუშაობას.



განიერბეჭიანი კაცი სცემდა მათრახს ბავშვს.

— საზიზღარო, —
დაიყვირა გახელე-
ბულმა მიშამ. მის გა-
ბრაზებას საზღვარი
არ ჰქონდა. მან დაა-
პირა ლობეზე გადახ-
ტომა, რომ დაეცვა
თანამებში, მაგრამ
შემდეგ გაიფიქრა,
რომ ცარიელი ხე-
ლით ვერაფერს გაა-
წყობდა ისეთ ძლიერ
კაცთან, როგორადაც
მას მოეჩვენა მათრა-
ხიანი კაცი. მას დიდ-
ხანს მაინც აღარ უფი-
ქრია, დაავლო ხე-
ლი სჯუმაოდ მო-
ზრდილ ქვას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე
გააქანა მათრახიანი კაცისაკენ. გასროლილი ქვა მი-
ზანში მოხვდა და მათრახიანი კაცი კენესით გა-
იშლართა მიწაზე.



გასროლილი ქვა მიზანში მოხვდა.

* * *

გახარებული მიშა გადახტა ლობეზე და გაექანა
ნაცემი ბავშებისაკენ, რომლებიც ძლიერ გაკვირვე-
ბულნი დარჩენ მიშას ამგვარი მოქმედებით. რამოდე-
ნიმე წუთს მათ შორის სრული სიჩუმე სუფევდა,
მხოლოდ შემდეგ კი მათ მადლობა გადაუხადეს თა-
ვიანთ მხსნელს, რომელმაც ისინი მძიმე ტანჯვისაგან
იხსნა.

მიშას ძლიერ გაუკვირდა, რომ ყველა ისინი
მისთვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობდნენ, რითაც მას
საშვალეება ეძლეოდა ყველაფერი გაეგო მათგან.

გამოირკვა, რომ უგრძობლად დაცემული კა-
ცი ზედამხედველი იყო, ბავშვები კი პლანტაციებზე
მუშაობდნენ.

— აი, დღეს, — უამბობდა ერთი იმათგანი, —
დღეს, მუშაობის დროს, ალი ავად გახდა და წაიქცა...
დაინახა რა ეს ზედამხედველი, მოვარდა და მასთან
ჩვენც დაგვიწყო ცემა...

შემდეგ უკვე ყველაფერი ნათელი იყო.

— საზიზღარი! — აღელვდა მიშა — რა უფლება
აქვს მას გცემოთ თქვენ!..

— რა უფლება? — გაუკვირდათ ბავშვებს, — ნუთუ
არ იცი, რომ ის აქ დაყენებულია მეთვალყურედ
ამ პლანტაციების ბატონის მიერ, რომ თვალყური
ადევნოს მუშაობას. ყველგან ასეა.

— არა, ყველგან არა, — წარმოასთქვა მტკიცედ
მიშამ, — მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში არა!

პატარა ინდოელები გაკვირვებული უსმენდნენ
იმ საკვირველი მხარის შესახებ, სადაც არ არის არც
ერთი მისტერი ჯონი, არც ერთი ბატონი, სადაც
ბავშვებს არ უმასპინძლებიან მათრახით, სადაც ბავ-
შები თვითონ არიან პლანტაციების ბატონ-პატრო-
ნი, აქვთ თავიანთი სახლები, სადაც ისინი სწავლო-
ბენ და დარაზმულები არიან პიონერთა წითელ კო-
ლექტივებში.

— საკვირველი ქვეყანა ყოფილა! — წამოიძახა
ნაცემმა ალიმ, — აი, რა კარგი იქნება იქ ცხოვრება!

მიშას კიდევ უნდოდა განეგრძო საუბარი თა-
ვისი ქვეყნის შესახებ, რომ ამ დროს გაისმა ცხენე-
ბის ფეხის თქარუნნი. ბავშვები შეშინებულები წამოხ-
ტნენ და წამოიძახეს:

— პოლიცია!.. პოლიცია მოდის!..

* * *

— მომყევით მე, — გასცა განკარგულება მიშამ.
ერთი წამის შემდეგ იმათ გაირბინეს პლანტა-
ციის ალაყაფის კარები და სირბილით გაემართნენ
მახლობლად მდებარე ტყისაკენ.

ბუჩქებმა და წვეტიანმა შოლტებმა სულ მთლად
დაუგლიჯა მიშას ტანსაცმელი და ფეხებიდან სისხ-
ლი აღინა, მაგრამ მას დაავიწყდა გაჭირვებაც და და-
ლლაც. ისინი კარგახანს შეუსვენებლად განაგრძობ-
დნენ გზას შუაგული ტყისაკენ. მხოლოდ აქ შეისვენ-
ნეს ბავშვებმა. მათ ირგვლივ მაღალი ხეები ფარავდა
და თავი უშიშრად იგრძნეს..

მათ გააბეს ერთმანეთში საუბარი. მიშა განსა-
კუთრებული აღფრთოვანებით და გატაცებით უამ-
ბობდა მათ, თუ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ



ს. ს. რ. კ. ბავშვები, უამბობდა მათი მოქმედების შესახებ და სხვ.

და როდესაც გაათავა საუბარი, მაშინ ბალახებიდან ამოჰყო თავი ალიმ, რომლის წკრიალა ხმა წყნარად გაისმა:

— ახლა კარგად ვიცით ჩვენ, თუ ვის შეუძლია დაგვიხსნას მისტერ ჯონისაგან...

* *

ტყის მიდამოებში საღამო ჩამოწვა, სიცივეც საგრძნობი შეიქნა. პატარა ინდოელებმა მიშას დახმარებით გააჩადეს კოცონი და კვლავ სთხოვეს მიშას, რომ მას ისევ საკვირველებათა ქვეყნის შესახებ ეამბნა რაიმე.

— „საუბარი კოცონთან“, — გაიღიმა მიშამ, მაგრამ ამ დროს მისი ხმა გააფთრებულმა ველურმა ღრიალმა დაჩრდილა.

შიშისაგან ყველანი აცახცახდნენ. ისინი სიკვდილის შიშმა შეიპყრო.

— ვეფხვი... ვეფხვი...

— ხეებზე ავიდეთ! — წასჩურჩულეს ერთმანეთს სწორედ იმ დროს, როდესაც სიბნელეში უკვე გამოჩნდა ვეფხვი.



მიშამ ამოიღო ლოზუნგი და ააწება.

* *

გააფთრებული ველური ცხეცი ირგვლივ უვლიდა იმ ხეს, რომელზედაც აცოცდნენ ბავშვები.

— დავილუბეთ, — წარმოსთქვა აცახცახებულმა ალიმ, — დავილუბეთ, ახლავე შემოხტება ხეზე ეს საშინელი არსება... და...

კვლავ გაისმა გულშემზარავი ღრიალი. მხეცი შესახტომად მოემზადა. შეშინებულმა ბავშვებმა თვალები დახუჭეს. ბოლოს, თითქოს ერთი წუთი კი არა, ერთი წელი გასულიყო, ნელა გააღო მიშამ თვალები, მაგრამ თავის თავს არ უჯეროდა, ისე გაკვირვებული დარჩა:

— შეხედე, შეხედე ვეფხვს, — წამოიძახა მან.

ყველამ დაჰყიტა თვალები.

სასიკვდილოდ იკლაკნებოდა ვეფხვი, ხოლო მას თავზე ადგა სპილო, რომელიც გამძვინვარებული ურტყამდა თავზე ეშვებს.

* *

გახარებული ბავშვები წამოხტნენ და მხიარულად აეღურტულდნენ. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგძლეებულა. აშრილდა მზისაგან დამწვარი ხმელი ფოთლები.

— მოგვდევენ, — მიხვდა ალი, — საჭიროა აქედან გავიქცეთ, თავს ვუშველოთ.

სწრაფად შეახტნენ ბავშვები სპილოს ზურგზე, სპილო, თითქოს გაიგო რაშიაც იყო საქმე, მძიმე ნაბიჯებით გაექანა ტყის სიღრმიდან გამოსასვლელად.

* *

ხეები თანდათან შეთხელდა, ბოლოს ბამბუკის უკანასკნელი ტოტებიც უკან დარჩა, გამოჩნდა მტვრიანი ქუჩა, და ჰორიზონტზე ქალაქი გამოიხატა.

— სწრაფად! სწრაფად!

დაუღალავად მიჰქროდა სპილო. უკვე გამოჩნდა ქალაქის განაპირა ნაწილი... შემდეგ ნავსადგურიც.

სწრაფად ჩამოხტნენ ბავშვები თავიანთი მხსნელი სპილოს ზურგიდან.

— ახლა მე ვთხოვ კაპიტანს, რომ თქვენც წამოგიყვანოსთ, — წარმოსთქვა მიშამ.

— სპილოს რაღა ვუყოთ?

— ისიც ჩვენთან წავიყვანოთ, გემზე ის თავისუფლად მოთავსდება...

— ჩვენ წავალთ საკვირველებათა მხარეში, — წამოიძახეს აღფრთოვანებულმა ბავშვებმა ერთად.

— წითელ ყელსახვევთა მხარეში.


— იქ, სადაც არ არიან მისტერ ჯონები!!

— იქ!!!

მძიმედ შეაბიჯა სპილომ გემის ხიდზე...

* *

მიშა შეიშმუნა, გააჰყიტა თვალები. ის კვლავ ხმელეთზე, ზღვის ნაპირას, იყო. სამაგიეროდ დიდი



ხმაურით შორდებოდა ნაპირს და ინდოეთისაკენ მიემგზავრებოდა გემი „ვარსკვლავი“.

მახლობლად მიმავალმა მუშამ დაინახა მძინარე და წარმოსთქვა:

— უნახავს, რაღა, დასაძინებელი ადგილი...

— როგორ... როგორ მოხდა ეს?— კითხულობდა გაკვირვებული მიშა.

— ნუთუ ყველაფერი ეს ძილში ვნახე... ნუთუ?— ეკითხებოდა მიშა თავის თავს...

ერთი დღით წინ ბავშვთა საერთაშორისო კვი-

რეულის დაწყებამდე, მიშა დადიოდა ქალაქის ქუჩებში და კედელზე აკრავდა ლოზუნგებს.

ერთ-ერთ კედელზე დიდი ასოებით გამოყვანილი იყო კინო— პლაკატი:

ინდოეთი, საკვირველებათა მხარე.

მიშამ ამოიღო ლოზუნგი და გადააწება მას. ამ ლოზუნგს ეწერა:

მთელი ქვეყნის ბავშვებო, ჩაეწურეთ პიონერ-ორგანიზაციაში, ნორჩ ლენინელთა რიგებში.

გ. ვასაძე.

ჩვენი გულადები

ამხ. მიხეილ ივანეს ძე კალინინი დაიბადა ვერხნე-ტროიცკაში, ტვერის გუბერნიაში, 1973 წლის 7 ნოემბერს, სწორედ ოქტომბრის დიდი რევოლუციის დღეს.

ბავშობის ხანა მეტად მძიმე იყო პატარა მიშასათვის. მას უხდებოდა ოჯახში მეტად მძიმე და ხანგრძლივი სამუშაოს შესრულება, რადგანაც მშობლები ღარიბები ჰყავდა.

ჯერ კიდევ ათი წლის მიშასათვის არავინ ზრუნავდა, რომ წერა კითხვა ესწავლებიათ. მხოლოდ ერთმა შემთხვევამ უშველა მას: მისი სოფლის ერთერთმა მოხუცმა, ყოფილმა ჯარისკაცმა, განიზრახა ბავშვისათვის უფასოდ წერა-კითხვის სწავლება და მათ რიცხვში მიშა კალინინიც მოხვდა.

სწავლით დაინტერესებულმა მიშამ წერა-კითხვა სულ მალე და საუცხოოდ შეისწავლა. ის არ ყოფილდებოდა ამით და რაც წიგნები კი შეხვდებოდა, ყველას წაკითხვას ცდილობდა.

16 წლის მიხეილი უკვე ლენინგრადის ერთ-ერთი პატარა ქარხნის მუშაა. შემდეგ აქედან გადადის პუტილოვის ქარხანაში. აქ ის ეცნობა სხვადასხვა რევოლუციონერ ჯგუფებს და უახლოვდება მათ. 1898 წელს ამხ. მიხეილი უკვე საკმაო იცნობს მარქსიზმს და ის შედის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში. სულ მალე ის პარტიის აქტიური წევრი ხდება.

1899 წელს ამხ. მიხეილმა, სხვა მუშებთა ერთად, უკვე იგემა ჯანდარმების მათრახი რევოლუციონური მუშაობისათვის. მათრახს სატუსალოც მოჰყვა.



ამხ. მ. კალინინი.

სატუსალოდან გამოსვლის შემდეგ ამხ. მიხეილს უკვე საქართველოში, ტფილისში, ვხვდავთ. ის აქაც აწარმოებს არალეგალურ რევოლუციონერ მუშაობას, რაზმავს მუშებს თვითშეპრობელობის საწინააღმდეგოდ. აქაც დაატუსაღეს.

განთავისუფლების შემდეგ ის კვლავ რუსეთისაკენ მიემშრება. აქ ის უკვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწინავე რიგებში არის.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარი განხეთქილების შემდეგ ამხ. კალინინი ლენინის მხარეზე დგება, ის ბოლშევიკურ პარტიაში აწარმოებს მუშაობას და ბრძოლას მუშათა კლასის გასათავისუფლებლად.

შემდეგ წლებში არა ერთხელ ყოფილა ამხ. მ. კალინინი დატუსაღებული, მაგრამ ერთხელ დასახული მიზნისაგან მას იოტის ოდენადაც კი არ გადაუხვევია.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ანხ. კალინინი პირველ ხანებში მოსკოვის საბჭოში მუშაობდა, შემდეგ კი, ამხ. ვლ. ლენინის წინადადებებით, ის აირჩიეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც მან დიდი გამჭირახობა და უნარიანობა გამოიჩინა.

დღეს ამხ. მიხ. კალინინი საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთი თავმჯდომარეაგანია. ის დღესაც დაუღალავ მუშაობას აწარმოებს ახალი სოციალისტური საზოგადოების აღმშენებლობისათვის.

ბასიპოს



ბანდატა

გათენებისას მუცემ იმ ოთახშიც შემოიხედა, სადაც ვასიკოს ეძინა და თუმცა განთიადის სინათლემ მასაც თვალები გაახელინა, ენანებოდა რბილი საწოლის მიტოვება.

გაზაფხულის მიწურული იყო, სწავლის დაწყებამდე სულ რამდენიმე კვირა იყო დარჩენილი და თავისუფლების უკანასკნელი დღეები ვასიკოს ნებივრობაში და თამაშში უნდოდა გაეტარებინა.

მამამისი უკვე დიდი ხანია სამუშაოდ წასულიყო, დედაც სამხარეულოში საქმიანობდა და ოთახში სიჩუმე ჩამოვარდნილიყო.

ვასიკოსთვის ეს აუტანელი იყო. მას არ შეეძლო ასეთ მოწყენაში დიდხანს დარჩენა. სწრაფად წამოხტა, ტანთ ჩაიცვა და პირდაუბანელი გავარდა ეზოში. კარგახანს ვერ მოეფიქრა, თუ რა სიცილქე ჩაედინა, რითი გაერთო თავი. მთელი ზაფხული გაატარა უსაქმო ხეტიალში და ეშმაკობაში. მამამისმა არც კი იცოდა ვასიკოს ყოფაქცევებზე არაფერი. მას იგი მეტად ჰყვიათი ეგონა, იმიტომ რომ ყოველ საღამოს, ბრუნდებოდა თუ არა შინ, ვასიკოს წიგნით ხელში ხედავდა. თუმცა მას არც კი კითხულობდა, მაგრამ ბეჯითად კი აჩვენებდა თავს მამას.

ახლაც, ეზოს ღობესთან რომ მიდიოდა, ავიდა ზედ და იქიდან დაიწყო თვალთვლება, რომ იქნებ რამე საეშმაკო აღმოეჩინა. და, მართლაც, თავის პირდაპირ, კიბესთან ჩაცუცქული შენიშნა თხა, რომელიც ტუჩებს აცმატუნებდა. ამ თხას, მისდა სამწუხაროდ, ვასიკოს ეძახდნენ, ეს კი მას ძლიერ სწყინდა, მეტადრე მამის, როდესაც ვინმე დაუძახებდა და თხაც ყურებს აცქვეტდა ხოლმე.

— აი, შე... მე შენ გიჩვენებ! — თითის დაქნევით წამოიძახა ვასიკომ თხის დანახვაზე.

თხა ხარ და კაცის სახლეს კი ატარებ!... წარმოსთქვა კიდევ და ოთახისაკენ გაიქცა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მორბოდა უკან, ხელში კი ეჭირა ძველი, ძირგაყარდნილი ვედრო და კარგა გრძელი თოკი.

თხას რომ დაუახლოვდა, სირბილი შესწყვიტა და ნელი ნელ დაუწყო მიახლოვება.

— ვასიკო, ვასიკო, — მიმართა ტკბილად და თანდათან უახლოვდებოდა.



ავიდა ღობეზე და იქიდან დაიწყო თვალთვლება, რომ იქნებ რამე საეშმაკო აღმოეჩინა.

უეცრად რქებში ხელში ჩასჭიდა და კისერიც მოუგრინა. დაფეთებული თხა რამდენჯერმე შეხტა ადგილზე, უნდოდა თავი გაეთავისუფლებია, მაგრამ ვერაფერს ვერ გახდა. ამავე დროს ვასიკომ რქებზე თოკი მოაბა, თოკს კი ვედრო და მერე ხელი გაუშვა.

განთავისუფლებული თხა მაშინვე წელში გაიმართა და გაიქცა, მის უკან კი ვედრო ახმაურდა ეს ხმაური მას შიშის ზარსა სცემდა, რის გამოც უფრო მოუმატა სირბილს.

სიცილით და ხარხარით დაედევნა უკან, თანაც, რომ შეეშინებია, ვედროს ფეხსა ჰკრადა.

ამავე დროს ვასიკოს დედა კარებში გაღმომდგარიყო და ყვიროდა: — ვასიკო, ვასიკო, მოდი ისაუბრე...

ამ ძახილზე თხამ მიიბრინა დედამისთან და ყურებაცქვეტილი შეწერდა.

— ეს რა გიქნია, შე არამზადავ, ეს რა გიქნია... უჯავრდებოდა დედა ვასიკოს და თანაც აბუჩად აგდებულ ცხოველს რქებიდან თოკს ხსნიდა.

ჩვეულებრივად უყურადღებოდ დასტოვა ვასიკომ დედის სიტყვები და შეუქვებელი სიცილით ოთახში შეირბინა.

ასე გადიოდა დღეები. უღარდელად ატარებდა დროს და თვალი სულ იმაზე ჰქონდა დაქერილი, რომ სადმე რამე წაეხდინა, ვინმესთან ჩხუბი აეტეხა ანდა ექიდავა; მაგრამ სწავლის დაწყების დროც დადგა. კლასში სიარულიც დაიწყო; აქ შეხვდა ისევ თავის ორ ძველ ამხანაგს, რომლებთან ერთადაც წარსულ წელს მთელი კლასი აკლებული ჰქონდა. ერთი იყო დიდყურება სანდრო, და მეორე კი წიპუკა ვანო. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ აღარც ერთი მათგანი მას საკუთლებით არა ჰყვებოდა. შათ ყელზე წითელი ყელსახვევები გაეკეთებინათ და კლასში ისე კარგად სწავლობენ ვაკვეთილებს, რომ რამდენჯერმე ქართული ენის მასწავლებელმა შეაქო:

— აი, შეხედეთ სანდროს და ვანოს, როგორი ბეჯითები არიანო.



განთავისუფლებული თხა გაიქცა, მის უკან კი ვედრო ახმაურდა.

ვასიკო ჯერ გულს არ იტეხდა და არა სცხრებოდა, გულში ფიქრობდა, რომ სადმე დაეჭირა და ორივენი მაგრად ეცემა. ხშირად ამხანაგებშიც იკვებდა ხოლმე:

— ერთი სადმე დავიჭირო, ესე ვამოგუქეყო გვერდები, რომა!!.

— რათა, რათ უნდა სცემო, რა დავიჭირო ვეს?.. ეკითხებოდნენ ამხანაგები.

— ისა, რომ ჩაწერილან რაღაც შპიონებად და იპრანტებიან, ცხვირს მაღლა იწევენ.

ამ სიტყვებზე ბევრი იცინოდა, ბევრი კიდევ საცემრად აქებებდა:

— სცემე, მაშ, უსათუოდ სცემეო.

ასე გადიოდა დღეები. ვასიკო ათასში ერთხელ თუ მოვიდოდა ვაკვეთილებსაწავლი. მასწავლებლისაგან რამოდენიმე შენიშვნაც მიიღო. მოწაფეები კი თანდათანობით პიონერებად ეწერებოდნენ. ნახევარზე მეტი უკვე წითელ ყელსახვევს ატარებდა და ხშირად ვაკვეთილების დამთავრების შემდეგ ისინი რჩებოდნენ, მართავდნენ რაღაც კრებებს, ვასიკო კი შინ ბრუნდებოდა.

ერთ დღეს კლასში გამოაცხადეს, რომ ვასიკომ უიკოლექტივი არსდება და, ვისაც სურს, ჩაეწეროსო.

ვასიკომ გადასწყვიტა ენახა, თუ რას აკეთებენ მასში და ჩაეწერა კოლექტივში.

კომკავშირელმა ამხანაგმა, რომელიც კოლექტივის წინამძღოლად დანიშნეს, აუხსნა ბავშებს, თუ რა უნდა გაეკეთებინათ პიონერებს და რა ამოცანები ესახებოდათ წინ.

— აი, მაგალითად, — განაგრძობდა წინამძღოლი, — უნდა დაეხმაროთ უპატრონო ბავშვებს, მათ არა ჰყავთ მშობლები და არც დასაძინებელი ბინა აქვთ.

— რომლებს, ქუჩებში რომ დადიან?!. უცბად მაღალი ხმით წამოიძახა ვასიკომ. — მათ კი არ უნდა დაეხმარო, უნდა სცემო.

პიონერებმა განცვიფრებით შეხედეს ვასიკოს. მათ გული მოსდიოდათ, რომ ვასიკო აქაც ასე თავგასულად იქცეოდა.


— ღარბებს და უპატრონოებს დახმარება უნდა აღმოუჩინოთ, — ერთხელ კიდევ დაუმატა წინამძღოლმა და გადახედა ვასიკოსაც, რომელიც მუშტებს იღერებდა და გაიძახოდა:

— თქვენ დაეხმარეთ და მე კო ვცემ...!

წინამძღოლმა სიტყვა დაამთავრა და განუცხადა ყველას, რომ მისი ნახვა შეიძლებოდა კლუბში და სასწავლებლის შენობაში.

პიონერები დაიშალენ და თავ-თავიანთი ბინებისაკენ გაემართენ.

ვასიკო შინ რომ ბრუნდებოდა, გზაში სულ წინამძღოლის ნალაპარაკევი უტრიალებდა გონებაში.



კომკავშირელმა ამხანაგმა აუხსნა ბავშვებს, თუ რა უნდა გაეკეთებინათ პიონერებს.

მას ვერ წარმოედგინა, თუ როგორ უნდა გაეკეთებინათ ყველაფერი ის, რაც იქ მოისმინა. გულში ფიქრობდა:

— მოიცა, ჯერ ყელსახვევი მომეცით და მერე თვალითაც აღარ დაგენახვებით.

* *

გავიდა რამდენიმე ხანი. შემოდგომის ცივი და ქარიანი ღღეები იყო. ფოთლებს ნელი-ნელ სიცივით ევარებოდა და ცვიოდა კიდეც. სიცივემ საგრძნობლად გაშალა ფრთები.

ვასიკო კლასში და კოლექტივში ისევე დადიოდა, მაგრამ თავის მოუსვენრობას თავს მაინც არ ანებებდა.

ერთ ცივ და ქარიან საღამოს ვასიკო ამხანაგთან მიდიოდა. მამას უთხრა, რომ გაკვეთილები უნდა ესწავლა მასთან, ნამდვილად კი დროს ცუდლუტობაში გაატარებდა.

ეზოს კარებიდან რომ გამოვიდა, იქვე კედლის ძირში პატარა ბიჭი დაინახა, რომელსაც ნაფლევი ტანისამოსი ეცვა და გათხუზნული სახე კი სიცივისაგან უფრო გაუშნობოდა, ის მიყრდნობოდა კედელს და სიცივისაგან ძაგძაგებდა.

ვასიკომ დანახვისთანავე თვალები ფართოდ დააჭყიტა. მაშინვე ეცა მუშტებშეკუმშული და რამდენჯერმე გაარტყაფერღში. უკანასკნელად ერთიც თავში ჩააფარა და მოშორდა.

ბიჭმა ხელი არც კი შეუბრუნა. ის, აკანკალებული, საწყლად შესცქეროდა, თითქოს ეუბნებოდა:

— რა გინდა ჩემგან, რისთვისა მცემი?!

მაშინ კი, როდესაც გულმოჯერებული ვასიკო გზას გაუდგა, ბიჭმა ტირილი ამოუშვა. ცრემლები სცვიოდა და ისე ისმოდა მისი სლუკუნი, თითქოს მთელი გული თან ამოატანაო.

ეს ტირილი ვასიკოსაც შემოესმა. შეჩერდა, გულში რაღაცა ტკივილი იგრძნო. ფიქრობდა: „რათა ვცემე, რა დამიშავა მე მაგან?“

მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა. უფრო მკაფიოდ მოისმა ბავშვის გულამოსკვნილი ტირილი და საშინლად ეწყინა, რომ სცემა. შეეცოდა, შეებრაღა. გული აუტოკდა, მეტადრე იმიტომ, რომ მან ხელი არც კი შემოუბრუნა.

მოუბრუნდა უკან და დაბალი ხმით შეეკითხა:

- შენ ბინა არა გაქვს?..
- არა, — უპასუხა ტირილით.
- დედა გყავს?
- არა.
- უპატრონო ხარ?
- ხო, არაფინ არა მყავს, — უპასუხებდა ატირებული ბიჭი და თანაც ცრემლიან თვალებს იმშრალებდა.


— მაშ, მოდი შევრიგდეთ, წამომყევი. ჩვენ უნდა დაგეხმაროთ შენ. ჩვენ, პიონერები, უპატრონო ბავშვებს ვეხმარებით.

ბიჭი გაუბედავად შესცქეროდა. ცრემლები შერა თვალეზზე. გაყოლა კიდეც ვერ გაბედა.

— წამოდი, წამოდი, ნუ გეშინია. ხომ გეუბნები, აღარასოდეს აღარა გცემ; ჩვენს წინამძღოლთან წაგიყვან და დაგეხმარებით. ამ სიტყვებზე მაჯაში ხელი ჩასკიდა და წაიყვანა, გზაში კი ფიქრობდა, თუ სად ეპოვა წინამძღოლი.

გადასწყვიტა, ჯერ კლუბში წასულიყო და იქ ვერ იპოვიდა, სასწავლებელში წაიყვანა.

კოტა ხნის სიარულის შემდეგ კლუბში მივიდნენ, და ვასიკომ მასთან ერთად დაიარა ყველა ოთახი. მას მკიცედ ეჭირა მასი მაჯა ხელში და ყველა ოთახში შეჰყავდა. ერთი ოთახიდან რაღაც ლაპარაკი მოესმა. მის სახეზე სიხარული აენტო. მაშინვე გაეჩანა იქითკენ და დაურიდებლად შეაღო კარი. ოთახში ოცამდე ახალგაზრდა იჯდა და ერთს, რომელიც რაღაცას ამბობდა, უსმენდა.



— აი, ეს ძალიან ღარიბია, მე მოვიყვანე, რომ დავეხმაროთ, — უთხრა ამხანაგებს ვასიკომ.

კარებში თავი შეჰყო თუ არა, მაშინვე წითელ საფარ გადაფარებულ გრძელ მაგიდასთან შენიშნა წინამძღოლი. ყველას ყურადღება შემოსული ბავშვისაკენ მიიქცა.

— აი, ეს ძალიან ღარიბია, არც ბინა აქვს, არც სასმელ-საჭმელი. მე მოვიყვანე, რომ როგორმე დავეხმაროთ, — ტკბილი ხმით წარმოსთქვა ვასიკომ, როდესაც წინამძღოლს მიუახლოვდა.

მას სახეზე მხიარულობა გადაეკრა, ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდა.

- სად მონახე?
- ქუჩაში იყო, სციოდა. ამაღამ უსათუოდ გაიყინებოდა.

აქ იყო კომკავშირელების უჯრედის კრება. წინამძღოლმა გააცნო საქმის გარემოება დანარჩენებსაც, რომლებიც მეტად გააცვიფრა პატარა პიონერის ქცევამ. ამავე უჯრედზე გადასწყვიტეს. რომ ეს ბავშვი თავიანთი მზრუნველობის ქვეშაყვანათ, ჩაერიცხათ კოლექტივში, ესწავლებინათ კიდეც. გახარებული და კმაყოფილებით სახე ვასიკო შინისაკენ გაიქცა მაშინ, როდესაც უპატრონო ბავშვს დასაძინებელი ადგილი აღმოუჩინეს.

ამ შემთხვევის შემდეგ ვასიკო სულ გამოიცვალა: სკოლაში კარგად სწავლობდა, კოლექტივშიც ხალისიანად მუშაობდა და არასოდეს არავის არ ეჩხუბებოდა.

ე. პოლუმორდვინოვი.



ბალუკა.

(ზანგ ბავშობა ცხოვრებიდან)

1. სოფელში.

ტყის გაყოლებით მიიკლავნებოდა ვიწრო და გრძელი ბილიკი. ეს იყო გზა სოფლის ქოხებიდან ბაღებამდე. ყოველდღე ამ გზით მიემართებოდნენ ბაღებისაკენ ქალები და ბავშვები, ზურგზე კალათით, ბანანების და სიმინდის ტარების მოსატანად.

ერთხელ, შუადღის შემდეგ, ამავე გზით ბრუნდებოდა შინ ბალუკას დედა თავისი გოგონა მენჯით.

პატარა მენჯი გზადაგზა ხტუნაობდა და ხანდახან ემაღლებოდა დედას, რითიც ერთობოდა თითონ და ბედნიერადაც გრძნობდა თავს.

როდესაც ისინი მივიდნენ იმ ადგილამდე, სადაც ბილიკი უკვე ტყეში შედიოდა, მენჯი მიუჭრა, დედას მაჯაში ხელი ჩასჭიდა და ასე მიჰყვებოდა. დაბურული ტყის ხშირ ტოტებს შორის მზის სხივები ვერ გადიოდა და დედა-შვილი სიბნელეში მიდიოდნენ.

— დედა!... — წარმოსთქვა მენჯიმ, — მე არ მესინია, როდესაც შენთანა ვარ, მაგრამ მარტო ამ ტყეში გავლა არ მინდა.

დედამ დახედა მენჯის შავ, პატარა სახეს, რომლიდანაც პატარავე, მაგრამ თეთრი კბილები გამოჰქრთოდა, და გაიღიმა.

როდესაც ისინი მიუახლოვდნენ ტყის ნაპირს, ბილიკი ორად იყოფოდა. მარჯვნივ მიდიოდა ბილიკი სახლისაკენ, მარცხნივ კი მიდიოდა სადღაც შორს, ტყის სიღრმეში.

მენჯის არაოდეს არ გაუვლია ამ ბილიკით და ეს გზა მისთვის რაღაც იდუმალი და საშინელი იყო.

მან იცოდა, რომ მისი მამა ამ გზით მიდის ხოლმე სანადიროდ.

ერთხელაც კიდევ, დილით ადრე, მისი უფროსი ძმა ბალუკა და სხვა ბიჭები ამ გზით წავიდნენ. ეს იყო დიდი ხნის წინათ და აქამდე არ დაბრუნებულან. ისინი წავიდნენ სასწავლებელში, დიდ ქალაქში, ზღვის ახლოს.

მენჯი ამაყობდა იმით, რომ მისი ძმა სასწავლებელში სწავლობდა.

და ახლა, ეს გზა რომ დაინახა, ძმა მოაგონდა.

— დედა, მითხარი, მალე მოვა ის დამე, როცა ბალუკა ისევ შინ დაიძინებს?

დედა ჩაფიქრდა.

— ორი მთვარე გამოიცვალა მას შემდეგ, რაც ის სკოლაში წავიდა. ბალუკა მაშინ დაბრუნდება, როდესაც ცაზე ისევ ახალი მთვარე ამოვა. თეთრმა ადამიანმა სთქვა: როდესაც წვიმები გათავდება, ბალუკა მაშინ დაბრუნდებაო.

ამ დროს მიუახლოვდნენ სოფელს და პატარა მენჯი თამაზად გაიქცა სოფლის ქუჩაზე ქოხისაკენ.

როდესაც მენჯიმ დედას წყაროდან წყალი მოუტანა და მიეხმარა ქოთნების გარეცხვაში, გამოვიდა გარეთ და მდინარეზე გაიქცა ბავშვებში სათამაშოდ.

მდინარე პატარა და იმდენად სუფთა იყო, რომ მისი ძირიც კი მოსჩანდა. ბავშვებს ძლიერ უყვარდათ მის ნაპირზე თამაშობა. ისინი ხან ჭყუმპალობდნენ წყალში, ხან ერთმანეთს ასხავდნენ წყალს, ხან კიდევ ნაპირზე თიხისაგან დედოფალებს აკეთებდნენ.

მერე ესეც მოგებრდათ.

ბოლოს ერთმა გოგონამ წამოიყვირა: — გოგონებო, მოდით და ვითამაშოთ ექიმობანა.



— კარგი, კარგი, — დაიძახა ყველამ და ერთ-
ხმად დაეთანხმენ.

მათში ყველაზე დიდი ნგავი იყო. ის ყველას
ქვიანადაც მიაჩნდა. ნგავი ამოიჩჩინეს ექიმად, და-
ნარჩენნი კი წავიდნენ ველ-მინდორში ყვავილების
დასაკრეფად და წამლების გასაკეთებლად.

კარგახანს თამაშობდნენ ამას ჰაერში კი თან-
დათან ბინდი წვებოდა.

ბოლოს ერთმა გოგონამ წამოიძახა:

— უკვე დრო არის წავიდეთ აქედან, რადგან
დღეს შეიძლება დაბრუნდნენ სკოლებიდან ბიჭები და
მდინარესთან თამაშს მოისურვებენ.

— რასაკვირველია, მოისურვებენ, — სთქვანგავიმ,
მათაც ეყოფათ ადგილი. მაგრამ საინტერესო იქ-
ნება, თუ რას გვიამბობენ. ისინი ხომ სასწავლებ-
ლად წავიდნენ.

— ალბათ, რაც მათ ისწავლეს, ჩვენ, გოგო-
ნებს, არ გვიამბობენ, — სთქვა ერთმა გოგონათა-
განმა ხუჭუჭათმიანი თავის ქვევით, თანაც ლურჯი
მივიების ყელსაბამს იმაგრებდა კისერზე.

მენჯი წამოხტა.

— ეს ტყუილია, — დაიყვირა მან. — ისინი ხომ
წავიდნენ სასწავლებლად თეთრ ადამიანთან, თეთრი
ადამიანი კი ამბობდა, რომ სწავლა ბიჭებისათვისაც
და ქალებისათვისაც საჭიროა და კარგიაო.

ჩემი ძმა ბალუკა გვიამბობს ყველაფერს, რაც
იქ ისწავლა.

ამ დროს მოისმა შორიდან ყვირილი: „მენჯი!
მენჯი!“..

მენჯიმ დედის ხმაზე საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა და
შინისაკენ გაიქცა.

მზე უკვე ჩასული იყო. ღილასავით ლურჯი
ცა ვარსკვლავებით იქედებოდა და ციდან თეთრ-
ყვითელი შუქი იღვრებოდა. მენჯი მიზობდა შინი-
სკენ და ნათლად ხედავდა, რომ ცაზე ამოდიოდა
მკრთალი სხივებია მოდიმარე ახალი მთვარე.
ქობთან რომ მიიზბინა, კარებთან დაინახა ბალუკა,
რომელიც მოუთმენლად ელოდა თავის პატარადას.

ის მართლაც მაშინ დაბრუნდა, როდესაც ცაზე
ახალი მთვარე ამოვიდა.

რ უ კ ა

იმ საღამოს მენჯი თავის დედას ეხმარებოდა
ვაზშმის მომზადებაში. საუკეთესო ნაჭრებს აძლევ-
დნენ ბალუკას. ის კარგახანი არ ენახათ და დიდი
სიყვარულით ეპყრობოდნენ. მენჯი ხშირად ივიწყებ-
და თავის საქმეს და აცქერდებოდა თავის ნახშირი-
ვით შავს მკლავზე დამაგრებულ ბრჭყვიალა სამა-
ჯურს, რომელიც ბალუკამ ჩამოუტანა საჩუქრად;
მამას კი ჩიბუნნი და საათი მოუტანა.

მენჯი თითქმის შეშინებული იყო საჭიროა
ისე წიკწიკებდა, თითქოს შიგ ცოცხალი თავი
მჯდარიყო.

მთელი სოფელი ლაპარაკობდა იმის შესახებ,
რომ ბიჭები ჩამოვიდნენ ქალაქიდან.

მალე ერთ-ერთ ქობთან გაჩაღებულ იქნა კო-
ცონი და დიდი დოლი ხმაურით მიუწოდებდა ყვე-
ლას მოსაგროვებლად.

პატარა ბავშვები დააწინეს დასაძინებლად და
მზორდილეები კი დედ-მამასთან ერთად გაემართნენ
კოცონისკენ, ჩამოტანილი ამბების მოსასმენად.

ბიჭები უამბობდნენ მათ ყველა იმას, რაც ნა-
ხეს და რაც ისწავლეს ქალაქში.

კოცონის ცეცხლი ანათებდა მათ შავ სახეებს
და ეღვარებდა მათსავე ბრწყინვალე თვალებში.

ბიჭები უამბობდნენ სკოლის შესახებ:

— ჩვენ ვისწავლეთ ჩვენი დიდი ქვეყნის შესა-
ხებ. თეთრი ადამიანები მას აფრიკას ეძახიან.

— კიდევ, კიდევ რა გასწავლეს?..

ბალუკამ აიღო კოცონიდან ნახევრად დამწვა-
რი ჯოხი.

— აი, შეხედეთ, თეთრი ადამიანები გვეუბნე-
ბიან ჩვენ, რომ ჩვენი დიდი ქვეყანა ასეთი მოყუ-
ნილობისაა.

ამ სიტყვებზე მან კვიშიან მიწაზე შემოხაზა
ჯოხით აფრიკის მოხაზულობა.

— არა, ჩვენი ქვეყანა ამას სრულებითაც არა
ჰგავს. ამა სად არის აქ მდინარეები და ტყეები.
სად არის ეს სოფელი?..

წარმოსთქვა ერთ ერთ ზანგმა და მოწყურებუ-
ლი თვალებით ელოდა პასუხს.

— თეთრი ადამიანების წიგნებში ასეა დახუ-
ტული და წიგნები მართალს ამბობენ. მე შიშიძლია
გაჩვენოთ თქვენ მხოლოდ უდიდესი მდინარეები.
ამ სიტყვებზე ბალუკამ იმავე ნახაზე სამხრეთ ნა-
პირიდან თითქმის შუაგულამდე გაავლო ხაზი და
დააყოლა: — აი, ეს არის უდიდესი მდინარე. მას
ჰქვიან ნილოსი. აი, აქ კიდევ არის მეორე მდინა-
რე, ნიგერის, ჩვენ ვცხოვრობთ ამ მდინარის ახლოს.

ბოლოს ბავშვებმა ამავე რუკა-
ზე აღნიშნეს თავიანთი სოფლის
მდებარეობაც. ყველა გაკვირვე-
ბული უცქერდა ნახაზს და ვერ
ხვდებოდნენ, თუ მათი სოფელი რათ
იყო აღნიშნული მხოლოდ პატარა
წერტილით, როდესაც იგი ასე ფარ-
თოდ იყო გადაჭიმული.

ბავშვებმა დაამთავრეს თავიანთი
მოთხრობა და ყველანი სახლებისკენ
გაემართნენ.

მალე მთელი სოფელი ძილს
მიეცა.



უფრო მეტად ღავუკავშირდეთ ჩვენს კმებს.

ჩვენი ქვეყნის პიონერები ნაკლებად იცნობენ საზღვარგარელო პიონერების მუშაობას, ნაკლებად იცნობენ მათ ცხოვრებას. ეს არანორმალური მოვლენაა.

საჭიროა საბჭოთა ქვეყნის ყოველმა პიონერმა იცოდეს, რომ საზღვარგარეთაც არსებობენ მუშათა კლასის საქმისთვის მებრძოლი პიონერთა ორგანიზაციები, რომელთაც საშინელ პირობებში უხდებათ მუშაობა.

ამიტომ, ჩვენი ქვეყნის თითოეული პიონერი ყოველთვის მოწადინებული, მონდომებული უნდა იყოს საზღვარგარელო პიონერების დასახმარებლად.

— აბა როგორ უნდა დავხმაროთ საზღვარგარელო სხვადასხვა ქვეყნის პიონერებს, რამდენი უნდა შევავაროვოთ ჩვენს შორის შემოწირულება მათ სასარგებლოდ, რომ მათთვის საგრძნობი იყოს და ჩვენ არ დაგვეტყოს, ჩვენაც ხომ ღარიბები ვართ? — იტყვის ჩვენი პიონერების უმრავლესობა.

მაგრამ ეს შემცდარი აზრი იქნება. ჩვენ ღარიბები კი არა, ძალიან მდიდარი ვართ. ჩვენ მდიდარი ვართ გამოცდილებით საერთო საქმეში, პროლეტარიატის ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში. ქონებრივად არც მათზე ღარიბი ვართ. ამიტომ ჩვენ საშუალება გვაქვს დავხმაროთ საზღვარგარელო პიონერებს არა მარტო ქონებრივად, არამედ ჩვენ გამოცდილებათა გაცნობითაც. და ეს იქნება მათთვის უდიდესი დახმარება ჩვენი მხრიდან. მაგრამ საქმე ის არის, თუ როგორ მოვაგვაროთ, როგორ განვახორციელოთ ეს, როგორ ვიცოდეთ, თუ სად და როგორი დახმარება სჭირდება მათ?

ამისათვის კი საჭიროა, პირველ ყოვლისა, რომ ჩვენი პიონერები იცნობდნენ საზღვარგარელო პიონერების მდგომარეობას, მათ ბრძოლას და მუშაობას. მართალია, ამ საქმეში ჩვენი ჟურ. „პიონერი“ დიდად გვშველის; ის რამოდენიმედ აშუქებს სხვადასხვა ქვეყნის პიონერების ცხოვრებას. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა ჩვენსა და საზღვარგარელო პიონერებს შორის დამყარდეს მჭიდრო კავშირი მიწერ-მოწერის გზით.

საბჭოთა რუსეთის პიონერთა ზოგიერთმა კოლექტივებმა ჯერ კიდევ 1923 წლიდან სცადეს მიწერ-მოწერის გაბმა საზღვარგარელო პიონერებთან, მაგრამ პირველ ხანებში, ზოგიერთი შეცდომების გამო, ამ საქმემ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა.

საქართველოს პიონერებმაც უნდა ითაონ ამ საქმის დაწყება და თავიდან აიცილინონ ყველა ეს შეცდომა, რომელნიც შემდეგში მდგომარეობენ: კოლექტივები უგზავნიდნენ საზღვარგარელო პიონერებს ისეთ წერილებს, რომელიც გავსებული იყო მი-

საღმებით, ლოზუნგებით და სხვ. ასეთებით. გარდა ამისა, რუსეთის პიონერთა კოლექტივები აწარმოებდნენ მიწერ-მოწერას მარტო გერმანიის პიონერებთან და, ბოლოს, რაც უმთავრესია, წერილების შინაარსი სავსებით არ გამოხატავდა კოლექტივების ყოველდღიურ საქმიანობას. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მიწერ-მოწერა ცალმხრივი იქნებოდა და ვერავითარ ნაყოფს ვერ მოიტანდა.

პირიქით, მიწერ-მოწერის წარმოება საჭიროა არა მარტო ერთი რომელიმე ქვეყნის პიონერ ორგანიზაციებთან, არამედ აუცილებელია ყველა ქვეყნის ბავშვთა კომ-ორგანიზაციებთან. გარდა ამისა, წერილები ისეთი შინაარსის უნდა იყოს, რომ საზღვარგარეთ პიონერებს შეეძლოს მასში ჩვენი კოლექტივების მუშაობის გამოცდილების დანახვა.

სრულიად საჭირო არ არის ავწეროთ, რომ მხიარულად ჩავატარეთ დღესასწაული, ანდა ვწეროთ, რომ ჩვენ კარგ პირობებში ვიმყოფებით, ყველანი ხელს გვიწყობენ და თქვენ კი საშინელ ცუდ პირობებში გიხდებთ მუშაობა და სხვა, არამედ უნდა ვწეროთ იმაზე, თუ რას ვაკეთებთ სკოლაში, როგორ მუშაობას ვწარმოებთ უბატრონო ბავშვებს შორის, პიონერ-ორგანიზაციის გარეშე მყოფ ბავშვებს შორის, როგორ ვაარსებთ და ვუშვებთ კედლის გახეთს, როგორ და რითი ვხმარებით მუშა-ხელს მოკლებულ გლეხურ ოჯახებს, როგორ ვამუშავებთ კომუნალურ ბაღს, ყანას, ბოსტანს და სხვ.

თითოეული ასეთი საკითხი ცალკე წერილში დაწვრილებით უნდა იყოს აწერილი ნაკლის და მიხწევების აღნიშვნით. და მხოლოდ მაშინ ჩვენი პიონერები არა სიტყვით, არამედ საქმით დაეხმარებიან საზღვარგარელო ამხანაგებს მათ მუშაობაში.

საზღვარგარელო პიონერ-ორგანიზაციებთან მიწერ-მოწერაში მთელი კოლექტივი უნდა იღებდეს მონაწილეობას, რისთვისაც თითოეულ რგოლს (მორიგეობით) უნდა დაევალოს წერილის შედგენა. შემდეგ ეს წერილი წაკითხული, დამუშავებული და (თუ საჭირო იქნება) შესწორებული უნდა იქნეს მთელი კოლექტივის მიერ. მხოლოდ ამ სახით დამუშავებული წერილები უნდა ეგზავნებოდეს საზღვარგარელო ამხანაგებს, მხოლოდ ასეთ წერილებს შეუძლია მათთვის სარგებლობის მოტანა.

ცხადია, საზღვარგარელო პიონერებიც ასეთსავე წერილებს გამოგზავნიან საპასუხოდ, და ამრიგად ჩვენ გვეცოდინება მათი მუშაობა და იმათაც ჩვენი. ამით ჩვენსა და მათ შორის დამყარდება მჭიდრო კავშირი.

ეს კავშირი კი პიონერთა ინტერნაციონალური აღზრდის საუკეთესო გარანტიაა.

სუთი ფელი

(1922--1927)

სუთი ფელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მოსკოვში პირველად გამოჩნდნენ ბავშვები წითელი ყელსახვევებით, რაც კომკავშირის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა პიონერთა პირველი კოლექტივი.

წითელი მოსკოვის ინიციატივით ბავშვთა კომუნისტურმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო და თავის რიგებში ჩააბა მშრომელთა ბავშვები. დღეს პიონერ-ორგანიზაციის რიგებში ორ მილიონ ბავშვამდგა. ამათგან თითქმის ნახევარი გოგონებია.

კომუნისტურად შეკავშირებულმა ბავშვებმა მეგობრულად დაიწყეს მუშაობა.

პიონერები შეუკავშირებელ ბავშვთა წინამძღოლები არიან.

რამოდენიმე ხნის შემდეგ პიონერებმა დაიწყეს მუშაობის წარმოება არა მარტო კოლექტივში, არამედ ისინი ზრუნავენ აგრეთვე შეუკავშირებელ ბავშვთა მასებზეც.

და თვითმართველობის მეცადინეობით პიონერებმა შესძლეს ქალ. მოსკოვის სკოლების 40%-ში მაინც შემოეღოთ მოსწავლეთათვის თბილი საუხვე.

მიზნად იყო დასახული აგრეთვე შეუკავშირებელ ბავშვთათვის თავისუფალი დროის მიზანშეწონილად გამოყენება. ფართე ტალღებად გაიშალა კოლექტივებში თვითმოქმედების დილები, საღამოები, თამაშობანი და სხვა.

ცენტრალურ რაიკლუბებში დღისით და საღამოთი მუშაობენ პიონერები. ისინი ჩაბმულნი არიან წრეებში, სახელოსნოებში, იღებენ საქირო ცოდნას და გამოცდილებას.

ჩვენი მიხწევანი სასოფლო მეურნეობაში.

სოფლის პიონერები იბრძვიან სასოფლო მეურნეობის ახალი კულტურული გზით წარმართვისათვის. მოსკოვის გუბერნიის ასზე მეტი კოლექტივი აწარმოებდა გასული წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში მუშაობას სასოფლო მეურნეობის დარგში და მნიშვნელოვანი მიხწევებიც აქვთ.

შემოდგომაზე გამოარკვეეს ამ მუშაობის შედეგები. ის შეაფასეს სამაზრო და სასოფლო გამოფენაზე, სადაც 20 კოლექტივმა ჯილდო მიიღო.



პიონერები ფიცს აძლევენ საკ. კომბ. მე-13 ყრილობას, რომ გამოვლენ კარგი ბოლშევიკები.

მუშაობა პირველად სკოლებში დაიწყეს. იქ სწავლობენ ბავშვთა მასები; საქირო იყო მათი დარაზმვა და საბჭოთა სკოლის აღმშენებლობაში მათი ჩაბმა. ახლა სასკოლო თვითმართველობაში ბავშვთა დიდი რაოდენობაა ჩაბმული. ისინი ენერგიულად მუშაობენ საბჭოთა სკოლის გაუმჯობესება - წინსვლისათვის.

პიონერ-ორგანიზაციის უშუალო მონაწილეობის მეოხებით ძლიერ იკლო მოსწავლე ბავშვებში ტყუილა-უბრალოდ დროს დაკარგვამ, სამაგიეროდ კი იმატა შრომამ და მეცადინეობამ.

ჩვენი პრაქტიკული მიხწევანი.

ძნელი იყო დიდიდან საღამომდის ჯგუფებში ჯდომა ისე, რომ არაფერი გვექამა. ამიტომ წამოიჭრა საკითხი თბილი საუხვის შესახებ. ფოსპოსტის

მთელი ქვეყნის ბავშვები ჩვენი ძმები არიან.

კარგად ვიცით, რომ საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვებთ მთელი მსოფლიოს პროლეტარებთან ერთად. ყოველთვის გვახსოვს და ყოველთვის ვეხმარებით მთელი ქვეყნის მუშათა კლასს და მათ შვილებს. ამ ხნის განმავლობაში ყველას დავანახვეთ ჩვენი მუშაობა ამ საქმეში.

გერმანიის 1923 წ. რევოლუციის მძიმე მომენტივში, ინგლისის სამთომადნო მუშების გაფიცვის დროს, ჩინეთის ხალხის გასათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელიც დღეს წარმოებს, — ჩვენი პიონერები ყოველგვარად ცდილობდნენ და ცდილობენ დახმარების გწევას. ჩვენ მოვიწვიეთ დასავლეთის ძმები ჩვენი ცხოვრების და მუშაობის გასაცნობად. გვესტუმრენ გერმანიის, საფრანგეთის, ნორვეგიის და სხვა ქვეყ-

ნების ბავშვები. ჩვენი კავშირი, ჩვენი სიმტკიცე მათთან განუყრელია.

დიდი აღფრთოვანებით შევავროვეთ მოწაფეებთან ერთად შემოწირულება, —ათასეული მანეთები, — რომ გაგვეგზავნა გერმანიის პროლეტარი ბავშვებისათვის. ამოვირჩიეთ დელეგაცია გერმანიაში გასაგზავნად, მაგრამ გერმანიის მთავრობამ ის არ შეუშვა თავის სამფლობელოში.

დახმარება ჩინეთის პიონერებს.

ჩინეთის ქარხანა-ფაბრიკებში მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა ბავშვებს. მათ იქ 12-14 საათს ამუშავებენ. მათი ინტერესების დამცველად, გარდა კომპარტიის, კომკავშირის და პიონერ-ორგანიზაციებისა, არავინ არ გამოდის.

ჩვენი დღევანდელი ამოცანაა — დავეხმაროთ მათ, რომ ფართოდ გაავრცელონ პიონერთა გავლენა შეუკავშირებელ ბავშვებში, გააფართოვონ პიონერ-კოლექტივები, გამოუშვან თავისი ჟურნალი და გაზეთი.

ნაკლიც ბევრი გვაქვს, საჭიროა მეტი თვითმოქმედება.

ბევრი მიხწევა გვაქვს ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ კიდევ ბევრიც გვაქვს გასაკეთებელი. ეს კარგად უნდა იცოდნენ ჩვენმა პიონერებმა.

დაიჭირეთ მაღლა პიონერთა დროშა. შესარულეთ პიონერთა კანონები და წესები.

თვითეულ პიონერს მაღლა უნდა ეჭიროს პიონერთა დროშა, ის ღირსეულად უნდა ატარებდეს ნორჩი ლენინელის სახელს. პიონერი ყოველი კარგი



მოსკოვის პიონერების კონფერენცია.

საქმის მეთაური უნდა იყოს, ყოველ ახალ წამოწყებაში ის უახლოეს მონაწილეობას უნდა იღებდეს.

პიონერებს დიდი მოვალეობა აქვთ თავის თავზე აღებული. ამიტომ ისინი ყოველგვარად უნდა ცდილობდნენ ამ მოვალეობის პირნათლად, სათანადოდ შესრულებას.

წელია, რაც ჩვენ მტკიცედ და წინსვლით ვმუშაობთ. შემდეგ მუშაობაში ჩვენ ჩავაბამთ ჩვენს რიგებში შეუკავშირებელ ბავშვთა ახალ რაზმებს და კიდევ უფრო მტკიცედ წავალთ წინ ჩვენი ლენინის ანდერძების შესასრულებლად.


მაშ, ამ რწმენით ჩვენ შევუდგებით ჩვენს შემდგომ მუშაობას და ბრძოლას.

გაუმარჯოს ნორჩ მებრძოლ ლენინელთა მტკიცე რიგებს, რომელნიც კომპარტიის და კომკავშირის ხელმძღვანელობით იბრძვიან ბრწყინვალე მომავლისთვის.

პ. ძნელაძე

კომპარტიის და კომკავშირის დახმარებით ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ გავხდით ორმოციოთიანი ორგანიზაცია.

პარტიის და კომკავშირის უფრო მეტი უპრადლეგა, თვით პიონერების კიდევ მეტი თვითმოქმედება — აი რა იქნება ჩვენი უამდგომელი გაბარჯვების და წინსვლის საწინდარი.



ჩვენს კმეზი მსოფლიოში

ბავშთა მე-VII კვირეულის დროს.

ყოველდღე იზრდება და ფართოვდება ბავშთა კომუნისტური მოძრაობის რიგები. მუხედავად სასტიკი დევნისა და შვეიწროებისა, ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშათა ბავშვები მაინც ერთდებიან მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დროშის ქვეშ. რამდენადაც მეტი დრო გადის, იმდენად უფრო აფართოებენ თავის მუშაობას საზღვარგარელო პიონერები თავიანთ რიგებში მთელი ქვეყნის მუშათა ბავშვების ჩასაბმელად. ქუჩაში, სკოლაში, ქარხნებში და ფაბრიკებში — ყველგან ეწვეიან აგიტაციას საზღვარგარელო პიონერები თავიანთ რიგებში ახალი რაზმების ჩასაბმელად. კომუნისტური პარტიის და კომკავშირის თვითმეულ დემონსტრაციაში იღებენ აქტიურ მონაწილეობას პიონერები. თითქმის ქვეყნიერების ყველა კუთხეში ფრიალებს წითელი ყელსახვევები და გაისმის პიონერთა საყვირის ხმები.

ბავშთა მე-VII საერთაშორისო კვირეულის დროს მთელი ქვეყნის პიონერები ჯამს გაუკეთებენ თავიანთ გამარჯვებებს და მიხწევებს, გაითვალისწინებენ თავიანთ მუშაობას მუშათა და გლეხთა ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

მე-VI კვირეულიდან მე-VII კვირეულამდე საერთაშორისო ბავშთა კომუნისტური მოძრაობის რიგები მნიშვნელოვანად გაიზარდა და განმტკიცდა. აი მთელი ქვეყნიერების პიონერ-კოლექტივების მოკლე ანგარიში ბავშთა მე-VII კვირეულისათვის:

გერმანია.

გერმანიის პიონერები, რომლებიც გაერთიანებული არიან ნორჩ სპარტაკელთა კავშირში, თავის

რიგებში აერთიანებენ 18,700 დარაზმულ პროლეტარულ ბავშს. ამ რამოდენიმე ხნის წინათ მათ კომკავშირის რიგებს გადასცეს რამოდენიმე ათასი თავისი საუკეთესო წევრი. გასულ წელს მათ პირველად მოაწყვეს პიონერთა ბანაკები და აგრეთვე გამოაგზავნეს თავისი დელეგაცია საბჭოთა კავშირში. ჟურნალი „დაფა“, რომელსაც სცემენ გერმანიის პიონერები, რამოდენიმე ათასი ცალი ვრცელდება შეუკავშირებელ ბავშვებში.

გერმანიის პიონერები დიდ მუშაობას აწარმოებენ აგრეთვე სკოლებში, სადაც ისინი არიან უმთავრესი გამტარებლები კომუნისტური იდეის და მოძღვრების. გერმანიის პიონერები დაბრკოლებებს ხვდებიან თავიანთ მუშაობაში, მაგრამ ეს სრულიად არ უტეხს მათ გულს და ენეგიულად მუშაობენ.

ინგლისი.

ინგლისის პიონერები, რომლებიც გაერთიანებული არიან ნორჩ ამხანაგებთა კავშირში, თავის რიგებში აერთიანებენ 1700 წევრს. მიუხედავად მცირერიცხოვანებისა, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ბურჟუაზიის და იმპერიალისტების წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი მუშაობა მუშათა უკანასკნელი დიდი გაფიცვის დროს და ჩინეთის ხალხის დამონავების წინააღმდეგ. ინგლისის პიონერები აგრეთვე სცემენ თავის გაზეთს, რომელსაც „ახალგაზრდა ამხანაგი“ ეწოდება.

საფრანგეთი.

საფრანგეთის პიონერები თავის რიგებში აერთიანებენ 6000 პროლეტარ ბავშს. უკანასკნელ ხანებში მათ ჩაატარეს დიდი მუშაობა სასკოლო უჯრედების დასაარსებლად. გარდა ამისა, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პარიზის მუშები სპიერ ახლახან მოწყობილ გაფიცვაში. საფრანგეთის პიონერების ჟურნალს ეწოდება „ნორჩი ამხანაგი“, და მასში მეტად გაცხოველებულ მონაწილეობას იღებენ თვით პიონერები.

ამერიკა.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პიონერ-მოძრაობა თავის რიგებში 5000 დარაზმულ ბავშს აერთიანებს. უკანასკნელ ხანში ამერიკის პიონერებში მეტად გაცხოველებულია მუშაობა მუშათა ბავშვებს შორის. ახლა ამერიკის ერთ ერთ საფეიქრო ოლქში გაფიცული არიან მუშები.



გერმანიის პიონერები ბავშვთა კვირეულის დღეს.

ამ გაფიცვებში პიონერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ და აქეზებენ მუშებს, რომ არავითარ დათმობაზე არ წავიდნენ. ამერიკელი პიონერების გაზეთს ეწოდება „ნორჩი ამხანაგი“, რომელიც 10,000 ცალი ვრცელდება.

კანადა.

კანადაში პიონერ-ორგანიზაცია თავის რიგებში 1200 დარაზმულ ბავშს აერთიანებს. პიონერები აგრეთვე კარგ მუშაობას აწარმოებენ სკოლებში. ახლახან კანადის პიონერებმა თავისი ყოველთვიური ჟურნალის გამოცემა დაიწყეს.

სკანდინავია.

სკანდინავიის ქვეყნებია ნორვეგია, შვეცია და დანია. ამ ქვეყნებში პიონერთა მოძრაობა ყოველდღე დიდ წარმატებებს ახწევს. ნორვეგიის პიონერ-ორგანიზაციას ჰყავს 3,500 წევრი, შვეციისას— 1800 წევრი და დანიისას 1.000 წევრი. ნორვეგიის პიონერები სცემენ თავის ჟურნალს, რომელსაც „პიონერი“ ეწოდება. საერთოდ ამ ქვეყნების პიონერები საკმაო აქტივობას იჩენენ და პარტიას და კომკავშირს მუშაობაში ეხმარებიან.

ჰოლანდია

ჰოლანდიაში ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. ის იქ ამ ორი წლის წინათ დაიწყო კომკავშირის ხელმძღვანელობით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჰოლანდიის ბავშვთა კომ-ორგანიზაციაში 1600 წევრი ითვლება. ყველა ესენი მუშათა შვილებია. პიონერები აქტიურ მუშაობას და ბრძოლას აწარმოებენ სკოლაში გამეფებული სულის შემხუთველი რეჟიმის წინააღმდეგ.

ავსტრია

ავსტრიაში ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა წლინახევრის წინათ დაიწყო. ახლა ავსტრიის პიონერებს თავის რიგებში ჰყავთ 1250 წევრი. ბურჟუაზიის მიმე რეჟიმი მეტისმეტად მწვავე პროლეტარული ბავშვებისათვის, მაგრამ ეს სრულებით არ აშინებს მათ და ემზადებიან მომავალი ბრძოლისათვის კაპიტალისტების წინააღმდეგ.

შვეიცარია

შვეიცარიის პიონერ-მოძრაობამ ფართო გასაქანი მოიპოვა. ამასწინეთ იქ მოხდა კონფერენცია, რომელმაც განსაზღვრა მომავალი მუშაობის და ბრძოლის გზები. დღეს შვეიცარიის პიონერ-ორგანიზაცია თავის რიგებში 1200 წევრს აერთიანებს.

ჩეხეთ-სლოვაკეთი.

ამ ქვეყანაში უკანასკნელ ხანებში ბავშვთა კომუნისტურმა მოძრაობამ მეტისმეტად ფართო ხასიათი მიიღო. ახლა ჩეხეთ-სლოვაკეთში 4,500 პიონერები



ჩინელი ბავშები

ნერია. გარდა ამისა, არის 25,000 ბავში, რომელნიც დარაზმული არიან წიაელ სსპარტო კავშირებში და რომელნიც მთლიანად კომუნისტური გავლენის ქვეშ არიან.

კორეია

კორეია აღმოსავლეთშია, იაპონიის ბურჟუაზიის მფლობელობაში. ამ ერთი წლის წინათ კომკავშირის მონაწილეობით იქ საფუძველი ჩაეყარა ბავშთა კომუნისტურ მოძრაობას, რომელიც ახლა თავის რიგებში 2.200 პიონერს აერთიანებს.

მანჯურია

მანჯურიაში (აღმოსავლეთშია) პიონერ-მოძრაობა აგრეთვე წინ მიდის. იქაური პიონერ-ორგანიზაცია 1.500 ბავშს აერთიანებს.

მონღოლეთი.

მონღოლეთის პიონერ-მოძრაობა ყოველდღიურად იზრდება, რადგანაც იქ ხელისუფლების სათავეში სახალხო მთავრობაა, და ამჟამად მონღოლეთის პიონერ-მოძრაობა 1.200 ბავშს აერთიანებს.

ჩინეთი.

მიუხედავად იმ მძიმე პირობებისა, რომელშიაც უხდება ცხოვრება ჩინეთის ხალხს, პიონერ-მოძრაობა იქ კომკავშირის ხელმძღვანელობით ყოველდღე იზრდება და ფართო ხასიათს იღებს. ახლა ჩინეთის პიონერები თავის რიგებში აერთიანებენ მშრომელთა 1.500 ბავშს.

ჩინეთის პიონერები საკმაო აქტიობას იჩენენ და იმ ომში, რომელიც ახლა იქ წარმოებს, უდიდეს დახმარებას უწევენ ჩინეთის კომუნისტურ პარტიას და ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს. ამის გამო პატარა რევოლუციონერებსაც ხვდებათ იმ შევიწროების ატანა, რომელსაც მიმართავენ მათ წინააღმდეგ კონტრევოლუციონური გენერლები.

ჰოლანდიის ინდოეთი.

ეს ქვეყანა იმყოფება ჰოლანდიის ბურჟუაზიის ბატონობის ქვეშ. აქაც ფართედ გაიშალა პიონერ-მოძრაობა. ჰოლანდიის ინდოეთის (ინდონეზიის) კომუნისტური პარტიის და კომკავშირის ხელმძღვანელობით დაარსებულია ბავშთა კომუნისტური სკოლები, რომელიც 5.000 ბავშს აერთიანებს.

ურაგვაი.

ურაგვაიში ბავშთა კომუნისტური მოძრაობის პირველმა შუქმა ამ ერთი წლის წინათ გამოაშუქა. უკვე ახლა კომკავშირის ხელმძღვანელობით შეკავშირებულია პიონერ-ორგანიზაციაში 1.000 ბავში. გარდა ამისა, სისტემატიურად გამოადის ბავშთა ჟურნალი, რომელშიაც გაცხოველებულ მონაწილეობას იღებენ პიონერები. ისინი სკოლებშიც დიდ მუშაობას აწარმოებენ.

მექსიკა.

მექსიკაში, რომელიც სამხრეთ ამერიკაში მდებარეობს, წარმატებით ვითარდება პიონერ-მოძრაობა. იქ არის პიონერთა 12 ჯგუფი და 2 სასკოლო უჯრედი ლა-ბოლზაში, —ქალ. მექსიკის უღარიბეს რაიონში. პიონერთა საერთო რაოდენობა აქ 1.240 წევრამდე ახწევს, ისინი ატარებენ „მექსიკის წითელ პიონერთა კავშირის“ სახელწოდებას.

პიონერებმა დაიწყეს პრაქტიკული მუშაობა ერთადერთ საბჭოთა, საზოგადოებრივ და შრომის სკოლაში — „ბოლზაში“. ყველა დანარჩენი სკოლა უკანასკნელ დრომდის იყო კათოლიკური, რელიგიური, მაგრამ რევოლუციონურმა ბრძოლამ ისინი გაანადგურა.

აი, რას გვწერს მექსიკის პიონერ-მოძრაობის ხელმძღვანელი ამხ. როზალიო:

„გაგიგონიათ თუ არა თქვენ მექსიკის სარწმუნოებრივი ბრძოლის შესახებ? —ნორჩ პიონერთა ცენტრალური ბიუროს მახლობლად მდებარეობს კათოლიკური მონასტერი. მონასტრის მონაზვნები ავრცელებენ პიონერების შესახებ საში-



ნელ ჭორებს და სიცრუეს. იმათ გამოუშვეს მოწოდებები მშრომელებისადმი, რომ აეკრძალათ ბავშვებისათვის პიონერ-ორგანიზაციაში სიარული. ვინც მათ მოწოდებას არ ასრულებდა, იმათ სასჯელით ემუქრებოდნენ. მაგრამ პიონერები ამან სრულიად ვერ შეაშინა. მათაც მოაწყვეს მშრომელთა მიტინგა, რომელზედაც გააცვენეს დამსწრეებს პიონერთა ნამდვილი ამოცანები. აგრეთვე მათ გამოუშვეს საწინააღმდეგო მოწოდებებიც. დღეს თანდათან ფართოდ ვითარდება მექსიკის პიონერ-მოძრაობა.

აი მოკლედ საერთაშორისო ბავშთა კომუნისტური მოძრაობის სურათი. გარდა ჩამოთვლილი ქვეყნებისა, ბავშთა კომუნისტური მოძრაობა არსებობს სხვა ქვეყნებშიაც, მაგრამ რადგანაც ისინი მეტისმეტად მძიმე არაღეგალურ პირობებში იმყოფებიან, მათ შესახებ ცნობების გამოქვეყნება არ შეიძლება.

მთლიანად საერთაშორისო ბავშთა კომუნისტური ორგანიზაცია, გარდა საბჭოთა რესპუბლიკის კავშირისა, თავის რიგებში აერთიანებს 95.000 პროლეტარ ბავშს.

პრესის დღესასწაული.

პიონერებო! თქვენ იცით, თუ რა არის წ მაისი?

წ მაისი — კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო დღეა. ამ დღეს ჩვენ ჯამს ვუკეთებთ ჩვენს მიხწევებს ამ დარგში და ვისახავთ მომავალ ამოცანებს წითელი პრესის განსამტკიცებლად.

ბოლშევიკური გაზეთის „პრავდას“ („სიმართლე“) წლის თავის აღსანიშნავად აღინიშნა ეს დღე პირველად საბჭოთა კალენდარზე; „პრავდა“ — ჩვენი კომპარტიის ცენტრალური ორგანო, ბოლშევიკური პარტიის საყვირი, დაიბადა რევოლუციონური ტალღების აბობოქრების ხანაში, მეფის შავ-ბნელი თვითმპყრობელობის დროს.

მაშინ პეტერბურგის (ახლანდელი ლენინგრადის) მუშათა გროშებით იწყო გამოსვლა ბოლშევიკური პარტიის ყოველდღიურმა გაზეთმა „პრავდამ“.

ეს იყო წ მაისი.

„პრესის დღეც“ აქედან ითვლის „წელთღარიცხვას“.

პეტერბურგის მუშათა დახმარებით შეიქმნა „პრავდა“ — რევოლუციის მტერთა და ორგულთა რისხვა.

ათეული წლების სიგრძეზე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ბოლშევიკური პარტია უდიდეს როლს აკუთნებდა ამ ბრძოლაში პრესას. მისი მნიშვნელობა განუსაზღვრელია დღეს, როცა ჩვენ უშუალოდ გვიხდება სოციალისტური მშენებლობა და კომუნისტურ ადამიანთა მილიონების აღზრდა.

პრესა მიზნად ისახავს — პარტიის, კომკავშირის, პიონერ-ორგანიზაციის და მთელი პროლეტარული საზოგადოების ყურადღების შეჩერებას პრესის საკითხებზე, მის საჭირობოროტო ინტერესებზე.

ამ დღიდან კერძოდ არსებითი გადატენის მომზადებაა საჭირო პიონერთა მასაში პიონერული პრესის საკითხების მხრით.

ჩვენი ორგანიზაცია შეუჩერებლად იზრდება. ნორჩი თაობის ათასები მოდიან კოლექტივებში. მათ აღზრდა, ჩვენ „ქვაბში“ გადახარშვა უნდა. აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანები რთულდება და პასუხსაგები ხდება. ამ პირობებში გაორკეცებული მნიშვნელობა ენიჭება პრესას, ჩვენს პიონერულ ჟურნალებს („პიონერს“, „ნაკადულს“).

ეს დღე წარმოადგენს აგრეთვე მუშათა კომუნისტური პრესის, პიონერთა გაზეთის და წიგნის დღესაც.

თვითეული პიონერი დაინტერესებული უნდა იყოს პიონერული ლიტერატურით, სისტემატურად უნდა კითხულობდეს და ავრცელებდეს მას მოზარდ თაობას შორის.

პიონერი დარაჯად უნდა ედგას თავის პრესას, კონტროლს უნდა უკეთებდეს თავის კოლექტივს იმაში, იღებს თუ არა რაიმე მონაწილეობას უკანასკნელი საბიბლიოთეკო მუშაობაში, არსებობს თუ არა წიგნსაცავ-სამკითხველო მის კოლექტივთან, სკოლებთან და სხვ.

უნდა ვეცადოთ, რომ ბიბლიოთეკებში ყველგან იყოს ახალი, შერჩეული ჟურნალები, წიგნები და ბროშიურები ბავშთა ლიტერატურიდან, მთავარ მიზნად უნდა დავისახოთ — დავუახლოვოთ ჟურნალი და წიგნი ჩვენს მოზარდ თაობას, შევაყვაროთ ის მას და მის განუყრელ საგნად გავხადოთ.

მეტი ყურადღება პიონერთა კედლის გაზეთებს! გავაუმჯობესოთ ის ტექნიკურად და შინაარსის მხრით. უნდა ვიზრუნოთ, რომ ყველა კოლექტივში გამოდიოდეს კედლის გაზეთი. უნდა დავრახმოთ მათ ირგვლივ პიონერები.

პრესის დღეს მთავარ ღოზუნგად უნდა დავისახოთ: მეტი ყურადღება, მეტი თანაგრძნობა და დახმარება პიონერულ პრესას — ლენინული აღზრდის მთავარ იარაღს.



ა რ ა დ ი ი



რადიო — გურგელთა გაართიანების საშუალება.

ბავშთა საერთაშორისო კვირეულის დროს, როდესაც მთელი ქვეყნის ბავშვები ამჟღავნებენ თავიანთ სოლიდარობას და გაერთიანებას, რადიოც არ უნდა დაგვავიწყდეს.

ვლადიმერ ილიჩი რადიოს უწოდებდა „გაზეთს უქალაქოდ და უსივრცოდ“. მისი სიტყვით, რადიო ხელს უწყობს მილიონი დაქსაქსული ხალხის ნებისაგან ერთიანი ნების გამომუშავებას. აქედან, მაშ, რადიო უდიდესი იარაღი ყოფილა მთელი ქვეყნის ბავშვების ორგანიზაციების ძმური გაერთიანებისათვის. თანამედროვე პირობებში, როდესაც არსებული საზღვრები ჯერ კიდევ ხელს გვიშლის ადამიანთა ცოცხალ ურთიერთობაში, მხოლოდ რადიომ არ იცის საზღვარი, მხოლოდ რადიოს საშუალებით შეგვიძლია გადავლახოთ ყოველგვარი საზღვარი და მანძილი.

ბავშთა საერთაშორისო კვირეულის განმავლობაში ჩვენი პიონერ-ორგანიზაციები განამტკიცებენ კავშირს სხვა ქვეყნების პიონერებთან, შეჭქმნიან მათთან ერთად ერთიან ფრონტს. და თუ ეს ასეა, მაშინ ეს უნდა მოვიმოქმედოთ ყოველ დარგში, ყოველი მიმართულებით და, მაშ, რადიოს გასაერთიანებლად.

საზღვარგარეთის ბავშთა ორგანიზაციები თართედ სარგებლობენ რადიოთი, მათ დიდი ცოდნა აქვთ მიღებული ამ დარგის თეორიაში და პრაქტიკაში. იმისათვის, რომ ისარგებლო რადიოთი შენი მიზნებისათვის, საჭიროა რადიო-საქმის შესწავლა. ყოველდღე რადიო უფრო და უფრო ვრცელდება ტექნიკაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ რადიოს საშუალებით გადასცემენ სიტყვებს და მუსიკას, მისი საშუალებით აგრეთვე შეიძლება სურათების გადაცემაც; არის ცდები, რომ რადიოს საშუალებით გადასცენ ენერგიაც; საზღვარგარეთ რადიოს საშუალებით სწავლა-აღზრდის საქმესაც აწარმოებენ; იქ არის რადიო-სკოლები, რომლებიც ემსახურებიან მრავალრიცხოვან ხალხს, იმათ რომლებსაც არ აქვთ საშუალება, რაიმე მიზნები გამო, იარონ და ისწავლონ ჩვეულებრივ სკოლაში.

ამიტომ, ბავშთა საერთაშორისო კვირეულის დროს ჩვენმა პიონერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ რადიოს საკითხებსაც: უნდა მოაწყონ რადიო-წრეები და რადიო-კუთხეები.

ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, და მით უმეტეს პიონერებს, რომ რადიო არის მშრომელთა გაერთიანების ერთ-ერთი საშუალება.

როგორ შეგვიძლია გამოვიცნოთ, თუ რომელი სადგური მუშაობს.

მორზეს ზოგი წიშნები განირჩევიან ერთმანეთისაგან ბგერით. ზოგი რადიო-სადგურები გზავნიან თავიანთ წიშნებს დაბალი ბგერის ხმაზე, სხვები კი მაღალ მუსიკალურ ხმაზე. ამ განსხვავებათა საშუალებით შესაძლებელია რამოდენიმედ გამოიცნოთ, რომელი სადგური მუშაობს. ზოგ დიდი სიმძლავრის რადიო-სადგურებს აქვს განსაზღვრული ხმოვანება,

რის მეოხებითაც ერთბაშად შეიძლება ვთქვათ, რომელი სადგური მუშაობს. მაღალი სიმძლავრის ეიფელის კოშკის (პარიზში) რადიო-სადგურის გამოცნობა ყოველთვისაა შესაძლებელი მისი განსაკუთრებული ხმის მეოხებით, მაგრამ რაც გინდა იყოს, მაინც არის ბევრი ერთნაირი ხმის მქონე სადგური, იმგვარი, როგორცაა გემებზე მოწყობილები, და თქვენ



მაშინვე შემეკითხებოდით: „მაშ როგორ გავიგებთ ამ შემთხვევაში, თუ რომელი სადგური მუშაობს?“

ამაზე გიპასუხებთ, რომ არსებობს რამოდენიმე საშუალება მომუშავე სადგურის გამოსაცნობად. ერთია, როგორც მოვიხსენე, ხმის განსხვავება, ხოლო მას არ შეიძლება სავსებით დავეყრდნოთ. მეორე, უკვე სრულებით შეუმცდარი მეთოდი, მდგომარეობს მომუშავე სადგურის ეგრეთწოდებული „გამოსაძახებელი ნიშნების“ დაქერაში. თვითელ რადიო სადგურს მიკუთნებული აქვს განსხვავებული გამოსაძახებელი ნიშანი, რომელთაც იმგვარივე მნიშველობა აქვთ, როგორც ნომრებს ჩვეულებრივ სატელეფონო სისტემაში. მთავარი განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ აქ არ გვიხდება გამობახება ცენტრალური გადაცემის სადგურის საშუალებით, ვინაიდან რადიო-სადგურებს აქვს ერთიმეორესთან უშუალო ურთიერთობა; მეორე განსხვავება იმაშია, რომ ნომრების მაგერ ყოველ სადგურს მითვისებული აქვს განსაზღვრებული ნიშნის სახით ანბანთა ცნობილი კომბინაცია.

უმეტეს შემთხვევაში სადგურებს მითვისებული აქვთ სამი ასოსაგან შემდგარი ნიშნები, მაგრამ ზოგჯერ ხვარობენ ორ ან ოთხ ასოს. ზოგ სადგურებს აქვთ გამოსაძახებელი ნიშანი ერთი ციფრისა და ორი ასოსაგან შემდგარი (მაგალითად 2 A.) სადგურთა უმრავლესობას კი აქვს გამოსაძახებელი ნიშნები GNF ან GLV მაგვარი. ეს უკანასკნელი ნიშანი მითვისებული აქვს რადიო-სადგურს სიფორტში, ლივერპულის მახლობლად.

თუ ერთ რადიო-სადგურს უნდა გამოიძახოს მეორე და გადასცეს მას თავისი ცნობა, მაშინ ის უწინარეს ყოვლისა უძახის მისთვის საჭირო სადგურს გამოსაძახებელი ნიშნის სამჯერ გადაცემით და ამის შემდეგ ჰგზავნს თავის საკუთარ გამოსაძახებელ ნიშანს აგრეთვე სამჯერ.

მაშინ მეორე სადგური გამოეხმაურება, აცნობებს, რომ მზადაა მიიღოს გადაცემა და, ამის დასრულებისას, უდასტურებს მიღებას. ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ გამოსაძახებელ ნიშანთა საშუალებით რადიო-სადგურებს შეუძლიათ გამოიძახონ ერთმანეთი, როცა საჭიროა ცნობის რომელიმე განსაზღვრულ სადგურში გადაცემა.

მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ ის, რომ თუ, მაგალითად, სადგური ჩრდ. ფორლენდე ჰგზავნის ცნობას სიფორტის სადგურში (რომელიც იმყოფება მისგან 1000 მილის მანძილზე), მაშინ ეს ცნობა შეიძლება მიღებულიქნეს აგრეთვე ფორლენდიდან დაახლოებით 1.000 მილის მანძილზე მყოფი სხვა რადიო-სადგურების მიერაც, თუ მისი წყოსები სათანადოდ არის მომართული მისაღებად.

ფართედმაუწყებელი სადგურებიდან ცნობის რადიო-ტელეფონით ან მორზეს კოდით გაგზავნის დროს, ცხადია, შეუძლებელია ყველა მიმღები სადგურების გამოსაძახებელი ნიშნების გაგზავნა, თუგინდ ყველა მათგანს კიდევ ჰქონდეს ასეთი ნიშნები. ამგვარ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, ფართედმაუწყებელი სადგური უჩვენებს თავის პროგრამის დასაწყისში და

ბოლოში, სახელდობრ საიდან სწარმოებს გადაცემა.

როგორ იგზავნება რადიო-ნიშნები.

მე ცოტად თუ ბევრად აგიხსენით, თუ რას უნდა მოელოდე თქვენ რადიო-მიმღებისაგან. თქვენ, რასაკვირველია, შემეკითხებით მე: როგორი საშუალებით აღწევს ეს რადიო-ნიშნები ან საუბარი თქვენ შინაურ მიმღებამდე დიდი მანძილით დაშორებული ფართედ მაუწყებელი სადგურიდან?

ეს შეკითხვა სრულიად ბუნებრივია. თქვენ გაქვთ სახლში ცნობილი ხელსაწყოები, მაგრამ თქვენსა და ცალკე გადაცემ ან ფართედმაუწყებელ სადგურს შორის არ არის ნამდვილი შეერთება. საქმე არაა ისე, როგორც ჩვეულებრივ ტელეფონში, სადაც ელექტრონის ჩქერს შეუძლია იდინოს მავთულით. თქვენ აქ არა გაქვთ სრულებით არავითარი ხილული შეერთება, და თქვენ, ცხადია, გიკვირთ, როგორ აღწევს თქვენამდე ნიშნები — მიდის ჰაერით, თუ რაიმე სხვა საშუალებით?

და, აი, რომ გიპასუხოთ ამ საკითხებზე, მე სრულიად უბრალოდ ავიწერთ თქვენ, როგორ ეწყობა კავშირი ორ რადიო-სადგურს შორის. მე ვგონებ, ყველაზე უკეთესი ხერხი ამისი ახსნისათვის იქნება შედარება რადიო-ურთიერთობისა სხვა დანარჩენ უმავთულო ურთიერთობის საშუალებასთან.

სრულიად მარტივი საშუალება ურთიერთობისა არის ადამიანის სიტყვა. როცა ერთი კაცი ელაპარაკება მეორეს, მათ შორის არ არის სიტყვის არავითარი გადაცემი, ხილული უკანადალი. არის მხოლოდ და მხოლოდ ჰაერი, რომელშიაც გადიან ბგერათა ტალღები და აღწევენ მსმენელის ყურამდე, რომელსაც ამგვარად აძლევენ საშუალებას გაიგონოს წარმოთქმული სიტყვები.

თქვენ ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ერთმანეთთან სასტვენის საშუალებით მორზეს კოდით მოსაუბრე ორი ადამიანი, მაგრამ მაშინ მანძილი მოსაუბრეთა შორის არ უნდა აღემატებოდეს 100 მეტრს. თქვენ შეგიძლიათ ნელა გადასცეთ მორზეს ნიშნები მოკლე ან ხანგრძლივი სტვენით და ამით აღნიშნოთ სათანადოდ წერტილები ან ხაზაკები.

ეს ხერხი ურთიერთობისა შესაძლებელია განხორციელდეს ისევ ბგერათა საშუალებით, რომელთაც თქვენ აგზავნით ჰაერის სივრცეში სასტვენის საშუალებით. ეს ბგერათა ტალღები ვრცელდებიან ყველა მიმართულებით, და თუ მსმენელი მოშორებულია, მაშინ გაივლის რამოდენიმე დრო, სანამ ისინი მიაღწევდენ მის ყურამდე.

ბგერათა ტალღები ვრცელდებიან დაახლოებით 364 მეტრის სისწრაფით წუთში.


მაშასადამე, თუ მსმენელი იმყოფება დიდ მანძილზე, მაშინ ის სასტვენის ბგერას გაიგონებს მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა თქვენ ჩაბერთ სასტვენში.

მეცნიერება და ტექნიკა

გამოსახულების გადაცემა მანძილზე.

შორს მანძილზე მავთულით და რადიოთი გამოსახულების გადაცემა ადამიანმა უკვე რამოდენიმე წლის წინეა ისწავლა.


მაგრამ ამ ბოლო დრომდის ფართოდ ვერ სარგებლობდა, რადგანაც გამოსახულების გადამცემი



სურ. № 1.

აპარატები შესაფერი ღირსებას არ იყო, ხშირად ფუჭდებოდა და ძალიან ძვირად ჯდებოდა გადაცემა.

ამიტომაც გამოსახულების გადაცემას მანძილზე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა არც წარმოებისათვის და არც ვაჭრობის საქმეში. ეს, ერთის მხრით, მხოლოდ გასართობი იყო ძალიან მდიდარი ხალხისათვის და, მეორეს მხრით, საინტერესო ცდა მეცნიერებისათვის.




სურ. № 2.

მაგრამ ამ ბოლო დროს გამოსახულების გადამცემი აპარატები შესამჩნევად გაუმჯობესდა და ადამიანი უკვე იყენებს მას ისე, როგორც ტელეგრაფს.

№ 1 სურათზე გამოსახულია ედუარდ ბელენის აპარატი. ეს აპარატი ამჟამად მუშაობს პარიზის ცენტრალურ ტელეგრაფზე. გამოსახულება, რომელსაც ბელენის აპარატით გადასცემენ, ნამდვილია და ეს სისწორე ისე თვალსაჩინოა, რომ ამ აპარატით გადაცემულ ჩეკს ყველა ბანკი იღებს.

საყურადღებო არის, რომ ასი სიტყვის რადიოდებეშა უფრო იაფი ჯდება გაიგზავნოს ბელენის აპარატით, ვიდრე ჩვეულებრივი დებეშით. ამჟამად გრძელი დებეშების გადაცემა ამ აპარატით სწარმოებს.



სურ. № 3.

დაწერილი დებეშის სახე გადაცემა ამ აპარატით. ის იაფადაც ჯდება და სისწორეც ხომ უეჭველია.


სურ. № 2 ჩვენ ვხედავთ გერმანელი ინჟინერის დიკმანის რადიო-აპარატს.

ეს აპარატი ერთობ მარტივია, შეიძლება მოაწყოს და მით ისარგებლოთ მინდორში და ტყეში, მხოლოდ საჭიროა სადმე ახლოს იყოს რადიო-სადგური. ამ აპარატს დიდი მნიშვნელობა ექნება ომიანობის დროს: რამოდენიმე წუთის განმავლობაში შეგიძლიათ გადასცეთ დიდ მანძილზე რა ადგილის რუკაც გინდათ. ჩვენ სურათზე № 3 თქვენ ნახავთ ანაირ რუკას, დიკმანის აპარატით გადაცემულს.

სხვადასხვა ცნობები

ფახაკი—ბურთთევზა.

ფრიალ სინტერესო და ფართო მასალას წარმოადგენს კაცობრიობისთვის ზღვა და მისი მცხოვრების სივრცეში ისეთივე ბრძოლა არსებობისათვის, როგორც დედამიწაზე: ყველას ესაქირო-



ფ ა ხ ა კ ი .

ვრებნი, რომლებიც ცხოვრება უსწავლილია ადამიანის მიერ. რებს შორის იშვიათად შეხვდება კაცი ისეთი თავისებური ფორმის ცხოველს, როგორცაა ბურთთევზა, რომელიც საკმაოდ არის გავრცელებული ტროპიკებთანაც და ზომიერ სარტყელშიც. ამ თევზის განსაკუთრებულ თვისებას ის შეადგენს, რომ მისი ხორცი ხან სრულიად უვნებელია, ხან-კი არავითარი საწამლაფი არ იმოქმედებს ისეთი ელვისებური სისწრაფით, როგორც ამ თევზის ხორცი; და, აი, სწორედ ეს გარემოება, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი საკვებით საზრდოობს ის, იცავს მას ადამიანის მიერ დევნიდან.



გაბრაზებული ფახაკი. მოსჩანს ოთხი კბილი.

ეზა საზრდო არსებობისთვის და უფრო მძლავრი თავს ეცემა უფრო სუსტს, ამას მასზე უფრო მძლავრი ებრძვის და ეს ბრძოლა არაფრით არ განსხვავდება დედამიწაზე მცხოვრებ ცხოველთა ბრძოლისაგან. მტრებისგან თავდასაცავად ბურთთევზას აქვს ნემსისებური ბუძვეცი, რომელიც ჩვენი ზღარბის გარეკანს მოგვაგონებს. ამ იარაღის საშუალებით იცავს ის თავს გაჭირვების დროს. ამავე დროს ბურთთევზა ჰყლავს აუარებელ ჰაერს, იბერება და ბურთისებურ ფორმას იღებს. როდესაც გაიბერება, ბურთთევზა ზევით აცურდება; რამოდენიმე ხნის შემდეგ ის უშვებს ჩაყლაპულ ჰაერს უკანვე, ნორმალურ სახეს იღებს და ისევ ზღვის ძირზე ეშვება.

დაჭერილი ბურთი იბერება, რაც ძალი და ღონე აქვს, თანდათან მატულობს, გასაოცარ თავისებურ ხმებს უშვებს და ასევე გაბერილი კვდება.

ამ დროს ადამიანს თვალში ხვდება ამ თევზის ოთხი კბილი, რომელიც წინ აქვს გამოწეული და თუთიყუშის ნისკარტს მოგაგონებთ. ამ გარემოებით არის გამოწეული, რომ მეთევზეები ამ თევზს თუთიყუშს უწოდებენ. ეს კბილები დაფარულია მინანქრის ფენით, რომელიც თავისთავად სპილოს ძვალს წააგავს. აღნიშნული თევზის კბილებიც არის მისი

თავდაცვის იარაღი ისევე, როგორც მისი გარეკანი. მეცნიერი დარვინი ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში ამბობს, რომ ბრაზილიის ნაპირებზე შესწავლილი ერთ-ერთი სახე ბურთთევზასი, ფახაკის, როცა აიღეს ხელში, მან გამოუშვა წებოსებური სითხე, რომელსაც ქალაღი და სპილოს ძვალი საკმარისად კარგად შეიღება. აღნიშნული სითხეც, უეჭველია, მისი თავდაცვის საშუალება უნდა იყოს.

თ. დ—იანი.



თაუაუბანი



გაამრავლეთ გავშთა კომუნიკაციის რიგები.

ამ თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლია 100—300 და კიდევ მეტ ბავშვს, რომლებიც განიყოფებიან სამ რგოლად: გარეგანი, დიდი წრე—100—140 ბავში, საშუალო წრე—10—75 წევრი, შინაგანი 25—50 წევრი. ყველა მოთამაშე ერთმანეთზე ხელი-ხელჩაკიდებული არიან. გარეგანი და საშუალო წრე მიბრუნებულია სახით ცენტრისაკენ, ხოლო შინაგანი—სახით გარეთკენ.

გარეგანი წრე გამოხატავს ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციას, **საშუალო**—ფაშისტურ, კათოლიკურ და სოციალ—შემთანხმებულ ორგანიზაციას. **შინაგანი** წრე გამოხატავს მუშათა ბავშვებს, რომლებიც მიისწრაფვიან მოხედენ ბავშთა კომუნიზმში.

ნიშნის მიცემის შემდეგ გარეგანი წრე მიემართება რევოლუციონური სიმღერით ან მარცხნივ ან მარჯვნივ; საშუალო სდგას უძრავად, ხოლო შინაგანი, ისევე, როგორც გარეგანი, ბრუნავს ირგვლივ, მხოლოდ გარეგანი წრის საწინააღმდეგოდ მხარეს.

როდესაც კი წარმოსთქვამს ხელმძღვანელი: „გაამრავლეთ რიგები“, ან მისცემს საყვირით ნიშანს (იმის მიხედვით, თუ როგორ ისურვებენ მოთამაშეები) მაშინ შინაგანი წრის მოძრაობა შეჩერ-

დება და მოთამაშეები ცდილობენ გადახტენ იმათ ხელებზე, რომლებიც გამოხატავენ ფაშისტურ—ორგანიზაციებს (საშუალო წრე). „ფაშისტები“, რასაკვირველია, წინააღმდეგობას უწევენ ამას ხელების ხან აწევით და ხან დაწევით. ვინც შესძლებს გადახტომას, ის ემატება ბავშთა კომუნიზმის რიგებს, ე. ი. ერევიან გარეშე წრეს და მასთან ერთად განაგრძობენ მოძრაობას და სიმღერას. და ასეთი ცდები გრძელდება ხელმძღვანელის ნიშნის მოცემამდე, რის შემდეგაც ცდები წყდება და შინაგანი ჯგუფის წრეები სწრაფად ჰკიდებენ ერთმანეთს ხელს, როგორც თამაშის დასაწყისში, და მოძრაობენ ხელმძღვანელის მიერ ახალი ნიშნის მოცემამდე.

თამაშში გრძელდება მანამდე, სანამ შინაგანი წრე არ შეუერთდება მთლიანად გარეგან წრეს.




თამაშის წესი: 1) წრიდან განთავისუფლება შეიძლება ორი საშუალებით: ა) გაძრომით, როდესაც ხელები ზევით არის აწეული, ბ) გადახტომით, როდესაც ხელები დაწეულია; 2) არ შეიძლება წრის ძალით გაგლეჯა; 3) თამაშის ხელმეორედ გამეორების დროს მოთამაშეები ერთმანეთს ეცვლებიან, ე.—ი. გარეგანი წრის მონაწილენი გადადიან საშუალოში ან შინაგანში, ანდა პირიქით.

გეომეტრიის სხეული,
აბა, თუ მოგაგონდებათ?
თუ გაიხსენებთ როგორმე,
ახლავე გამოგადგებათ.
ფუძეს შეადგენს კვადრატი,
გვერდებს კი სამკუთხედები,
თუ მოინდომებ მის ნახვას,
ეგვიპტეშიაც შეხვდები.
მას სამი ასო მოჰპარეთ,
წინიდან უფრო გვეჭირდება,
და გამოცნობა შარადის
შემდეგ არ გაგვიჭირდება.
ჩვენ მოგვიხდება ცოტა ხნით
მინდორში განავარდება;
(ასეც მოვიქცეთ, ამისთვის
არავინ გაგვიჯავრდება).
იქ ვითამაშოთ, ვიხტუნოთ,
რომ ჩვენი გული ხარობდეს,


და დავისვენოთ იმ ადგილს,
სადაც ბალახი მწვანობდეს.
შემდეგ სახელი იმასაც
მოვთხოვოთ მეგობრულადა,
და მივამატოთ წინასა
უკლებლივად და სრულადა.
ახლა მოვნახოთ კეკლუცი,
თვე არის გაზაფხულისა,
თვის სილამაზით ის არის
გამოაღებელი გულისა.
ამით გაგხადოთ შარაღა
სრულიად დასრულებული,
მთელ მსოფლიოში ზეიმობს
ამ დღეს მშრომელთა კრებული.



შაქრო ხარშილაძე.

რ ე ბ უ ს ი.

“  უ “  ჯობი “  “ მუშათა კლასის დღესასწაული “ ს მუშ

10 “ ა ” განცალკევების წინააღმდეგი “ ის ” რევოლუციონური ჰიმნი “ ს

“  “ წელიწადის დრო “ ს ” ლამეს რა მოჰყვება “

“ “  “ “ ”  “ ოს

გამოდის 1927 წ. გამოდის

თრკვირული საშინაო დასუკათიეული

ქურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი II

ქურნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლეგიისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ქურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

სალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 23, სახელები (მესამე სართული). „პიონერი“-ს და „ნაპადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარკელაქვიო კოლეგია.